№ 22 ხუთშაბათი
17 მარტი, 2016 წელი
40 თ (გურიის გარეთ 1 ლარი)

# გურია NEWS

გაზეთი "გურია ნიუსი"
გამოდის კვირაში ორჯერ
www.gurianews.com

# ვაკიჯვარში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა იგეგმება

გიორგი გირკელიძე
გურია ნიუსი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ჰიდროელექტროსადგურის _ "ნატანები 2" ( სიმძლავრე 9.45 მგვ.) პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა.**

**შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ შპს "ენერჯი სოლუშენს ნატანები" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაკიჯვარში, მდინარე ნატანებზე ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას მომავალი წლის გაზაფხულზე გეგმავს.**

**"ეს პირველი შეხვედრაა. 27 აპრილს კიდევ ერთი შეხვედრა იქნება, რადგან ყველა ის გეგმები გაგაცნოთ, რომელიც სადგურის მშენებლობას უკავშირდება. დღეს ყველა შენიშვნები იქნება ჩაწერილი და შესაბამისად, გათვალისწინებული", _ ითქვა შეხვედრაზე.**



**პროექტის განხილვაზე** | ფოტო: გიორგი გირკელიძე

**"ენერჯი სოლუშენს ნატანების" დირექტორმა გიორგი აბრამიშვილმა** "გურია ნიუსთან" საუბრისას თქვა, რომ *"ნატანები 2" იქნება ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე (წყალსაცავის გარეშე) ჰიდროელექტროსადგური. განსხვავებით რეგულირებადი ჰესებისგან, იგი არ ხასიათდება გარემოზე განსაკუთრებით მაღალი, შეუქცევადი ზემოქმედებით. ცალკეულ შემთხვევებში, შესაბამისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების ეფექტურად გატარების პირობებში, შესაძლებელი იქნება ნეგატიური ზემოქმედებების შემცირება".*

**ოზურგეთელი გურამ ბერძენიშვილი** შეხვედრაზე სიღრმისეულად დაინტერესდა ჰესის მშენებლობით და ათობით კითხვა დაუსვა კომპანიის წარმომადგენლებს: *"საერთოდ კითხვებს იმის გამო ვსვამ, რომ არ მინდა ისეთი მდგომარეობა შეიქმნას, როგორიც მოხდა "ბახვი ჰესის" მშენებლობაზე. ყველა კუთხით უნდა შევხედოთ ამ მშენებლობას. გურია არ არის დიდი რეგიონი ამდენი ჰესის მშენებლობისთვის. აუცილებლად გავეცნობი დეტალებს. მექნება, როგორც შენიშვნები, ასევე, რეკომენდაციები. მთავარია, არ განმეორდეს ის შეცდომები, რაც იყო 2012 წელს",* _ თქვა შეხვედრაზე გურამ ბერძენიშვილმა.

გურამ ბერძენიშვილის სიტყვას რეპლიკით გამოეხმაურა გიორგი აბრამიშვილი: *"ძალიან გთხოვთ, ნუ შეგვადარებთ "ბახვი ჰესის" მშენებლებს. ჩვენთვის ყველას აზრი მნიშვნელოვანია და ამის გამო ტარდება ეს შეხვედრა",* _ თქვა გიორგი აბრამიშვილმა.

შეხვედრას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მერაბ ჭანუყვაძეს** თქმით, ის მიესალმება მსგავსი პროექტების განხორციელებას: *"ჩვენ, რა თქმა უნდა, მივესალმებით ჰესის მშენებლობას. მინდა ვთქვა, რომ ყველას აზრი უნდა იყოს გათვალისწინებული შეძლებისდაგვარად. დღეს ამ შეხვედრას ესწრება სოფელ ვაკიჯვრის მოსახლეობა და აქედან გამომდინარე, მათი უფლებები უნდა იყოს დაცული. ასევე, გზის დაზიანების შემთხვევაში თქვენმა კომპანიამ უნდა იზრუნოს აღდგენაზე",* _ თქვა მერაბ ჭანუყვაძემ.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ** შეხვედრაზე თქვა, რომ ეკონომიკის განვითარება ენერგეტიკის გარეშე არ შეიძლება: *"ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე არის საუბარი და მე, პირადად, მივესალმები ამას. აქ მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება _ ეს ჩვენი თხოვნაა. ასევე, მინდა ვთქვა, ელექტროსადგურების მშენებლობა იგეგმება სოფელ შემოქმედში და ეს მართლაც მნიშვნელოვანი ამბავია. მე ახლა არ წამიკითხავს ეს ანგარიში, დღეს მოხდა მისი განხილვა და აუცილებლად გავეცნობი. როგორც გავიგე, ყველაფერი წერია აქ კონკრეტულად _ ზემოქმედება გარემოზე, ადამიანებზე, ცხოველებზე და ყველა იმ ღონისძიების შესახებ, რაც მშენებლობის დროს უნდა გატარდეს. ყველას ვურჩევ, გაეცნოს ამ დოკუმენტს",* _ თქვა დავით დარჩიამ.

**ოზურგეთელი ომარ ბაკურაძე** დაინტერესდა, არიან თუ არა დაინტერესებული უცხოური ინვესტორები ამ პროექტით და დასაქმდებიან თუ არა ადგილობრივები.

*"აუცილებლად დასაქმდებიან ადგილობრივები. ახლა არ შემიძლია გითხრათ, რამდენი ადამიანი დასაქმდება მთლიანად პროექტის განხორციელების დროს, მაგრამ გეტყვით, რომ დასაქმებულთა 80% იქნება ადგილობრივი.*

*რაც შეეხება ინვესტორს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები უცხოურ ინვესტორთან და ვნახოთ, როგორ დასრულდება ის",* _ თქვა გიორგი აბრამიშვილმა.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, ნებისმიერ ადამიანს შეეძლება, ჰესის მშენებლობის დოკუმენტის შესწავლა, რომელიც 350 გვერდს მოიცავს და ელოდებიან შენიშვნებს, რეკომენდაციებს.

შეხვედრაზე, ასევე, ცნობილი გახდა, რომ ამ ეტაპზე არ არის სერიოზული გეოლოგიური კვლევა ჩატარებული. როგორც კომპანიის წარმომადგენლ-

▸ა-3

## მთავარი თემა

### "ლარის კურსი კიდევ უფრო გამყარდება"

*(გურია ნიუსი, ოზურგეთი)* _ ბოლო დღეებია, ლარი კიდევ რამდენიმე პუნქტით გამყარდა. საქართველოს ახალგაზრდა ბიზნესმენთა და ფინანსისტთა ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი მერაბ ჯანიაშვილი ამბობს, რომ ლარის გამყარების ტენდენცია კვლავ გაგრძელდება.

"ის ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც გავლენას ახდენს ლარის კურსზე, წინა პერიოდთან შედარებით არ შეცვლილა. პირდაპირი ინვესტიციები შემცირდა 2015 წელს, გადმორიცხვები და უცხოური გზავნილები შემცირებულია 2016 წლის პირველ ორ თვეში, საგარეო ვაჭრობის კუთხით ექსპორტი უფრო შემცირებული, ვიდრე იმპორტი, მაგრამ ეროვნული ვალუტის გამყარების ტენდენცია მაინც გრძელდება. ყველა მაჩვენებელი, რაც ზეგავლენას ახდენს ლარის კურსის ფორმირებაზე, დარჩა იგივე. მთავარი, ჩემი აზრით, არის ის მოლოდინები, რაც ეკონომიკაში არსებობდა. ლარის კურსი ასე ძალიან იმიტომ გაუფასურდა, რომ ბაზარზე იყო პანიკური მდგომარეობა შექმნილი. სამწუხაროდ, ეროვნული ბანკის მაშინდელი პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე და მთავრობის წარმომადგენლებიც ხშირად სრულიად უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებდნენ ან აგვიანებდნენ განცხადებების გაკეთებას. შესაბამისად, მოსახლეობაში იყო უარყოფითი ხასიათის მოლოდინი და ხალხი ცდილობდა უცხოური ვალუტის შენახვას. აქედან გამომდინარე, ლარი გაუფასურდა იმაზე მეტად, ვიდრე ჩვენს ქვეყანას ქონდა უცხოური ვალუტის დანაკლისი. ახლა, როდესაც წავიდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, რომელიც პანიკას ქმნიდა, შესაბამისად სიტუაცია დაწყნარდა და მოლოდინები არის სტაბილურობისკენ მიმართული. ამიტომ ლარი მყარდება. თუ დააკვირდებით, გადამცვლელ პუნქტებში ის მოლოდინები აისახება, რაც რეალურადაა საზოგადოებაში. თუ გუშინ ბანკებში დოლარის ფასი იყო 2.41, სავალუტო ჯიხურებში 2. 36-ზე ჩამოვიდა. დღეს კი ლარის კურსი კიდევ უფრო გამყარდა და სავარაუდოდ გამყარება კვლავ გაგრძელდება," _ განუცხადა მერაბ ჯანიაშვილმა "გურია ნიუსს".



მისამართი: ჩოხატაური _
ნოდარ დუმბაძის ქ. #25,
☎ 22010, (599)207470
ოზურგეთი _
ჭავჭავაძის გამზირი, #4,
მე-3 სადარბაზო,
I სართული, ბინა32
ლანჩხუთი _
ნოე ჟორდანიას ქ. #114/3
თბილისი _ ☎ (832)2102001
Email: guria@gurianews.com

გამოქვეყნებული მასალების
შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს
რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თავად აგებენ პასუხს
ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიო მასალები
ინახება ორი კვირის განმავლობაში;
ამ ვადის გასვლის შემდეგ
პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს
სამ ხელნაწერ გვერდზე
ვრცელ მასალას და
შეუკვეთავ წერილებში
ჰონორარს არ გასცემს.

გამოქვეყნებული მასალების
გადაბეჭდვა რედაქციის
ნებართვის გარეშე
აკრძალულია!

გამომცემელი ია მამალაძე
Email: ia@gurianews.com
მთავარი რედაქტორი
გიორგი სიხარულიძე
Email: gia@gurianews.com
ოფისის მენეჯერი
ვარდო ანდღულაძე
☎571903990
სარეკლამო სამსახურის უფროსი
დაკა ბერძენიშვილი
☎577725854
სტილი და კორექტურა
ნინო ბერძენიშვილი
☎551181096
ფინანსური მენეჯერი
თამარ მეფარიშვილი
☎599217485
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დავით ჩხიკვაძე
☎571903989

**განცხადებების ფასები**

ნებისმიერი სახის განცხადება:
სიტყვა _ 30 თეთრი;

სურათიანი განცხადება _
დამატებით ორი ლარი

სამგლოვიარო განცხადებების
განთავსების მიზნით ფართის
შეძენისას,
ღირებულება იანგარიშება
შესაბამისი გვერდის ფასის _
400 ლარის მიხედვით.

**რეკლამის ფასები**

**არაპოლიტიკური რეკლამა:
1 კვადრატული სანტიმეტრის ფასი
(მთლიანი გვერდის ზომაა
1000 კვადრატული სანტიმეტრი)**

**პირველ გვერდზე (ფერადი): _
1.75 ლარი;
მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეცხრე:
_ 0.4 ლარი;
ბოლო გვერდზე (ფერადი) _
0.70 ლარი;
დანარჩენ გვერდებზე _ 0.28 ლარი.**

**შავ-თეთრი გვერდის ფერადად
დაბეჭდვა _ დამატებით 200 ლარი.**

**პოლიტიკური რეკლამის
ღირებულება ორმაგია.**

*გაზეთი დაბეჭდილია
შპს "ასავალ-დასავალის სტამბა"-ში.
მისამართი: ქ. თბილისი, აგლაძის ქ. 39,
ტელ: 2343330.
ელ-ფოსტა: print@asavali.ge*

# ხშირი ქურდობები ოზურგეთში

***(გურია ნიუსი, ოზურგეთი)*** _ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გახშირებული ქურდობებია _ გასულ კვირას, ქურდობის ორი ფაქტი დაფიქსირდა _ სოფელ შემოქმედში, ვ. ჯახვას სახლიდან გატანილია რამდენიმე ტომარა თხილი, რამდენიმე დღის წინ კი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში ადმინისიტრაციული შენობა გაქურდეს.

ქურდები ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულიდან აივანზე გადავიდნენ და ღია კარებში შევიდნენ. მეორე სართულიდან გადმოიტანეს კომპიუტერული ტექნიკა _ ორი პერსონალური კომპიუტერი და ორი ფოტოაპარატი, ასევე, პროექტორი.



**რწმუნებულის ოთახი, საიდანაც ტექნიკა მოიპარეს** | ფოტო: ჟანა მეგრელიშვილი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ლიხაურში მერაბ სალუქვაძე** "გურია ნიუსთან" ამბობს, რომ დილით, სამსახურში მისულს ადმინისტრაციული შენობის ცენტრალური გასასვლელი კარი დაკეტილი დახვდა:

*"შესასვლელლი კარი ჩვენ გავაღეთ; ასევე, კიბეზე ასასვლელი კარი, რომელზეც რკინის გისოსებია, ისიც მე და ჩემმა სპეციალისტებმა გავაღეთ. დამტვრეული დაგვხვდა ჩემი ოთახის კარები და ის ოთახი, სადაც ბანკის სეიფია განთავსებული. ქურდებს, სავარაუდოდ, იქ ფული ეგონათ, თუმცა, არ დახვდათ _ წაიღეს რამდენიმე პერსონალური კომპიუტერი და ფოტოაპარატები. აქვე მდებარეობს ბიბლიოთეკაც, თუმცა, იქ არ შესულან. ქურდობის ფაქტის შესახებ მაშინვე ვაცნობეთ პოლიციას. ჩემი ინფორმაციით, სამართალდამცავებს ქურდები ჯერ არ დაუკავებიათ, აღებულია მხოლოდ ანაბეჭდები და თბილისშია გაგზავნილი ექსპერტიზაზე",* _ ამბობს სალუქვაძე.

*"საშიში მდგომარეობაა, სამარცხვინო! ქურდობა ბოლოს როდის იყო, არ გვახსოვს. უჭკუო ქურდები არიან _ სახელმწიფო ქონებას რომ მიითვისებ, ან სად უნდა წაიღო _ იმას ხომ თავისი ნომერი აქვს?!"* _ ამბობენ ლიხაურელები.

შსს პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება დაწყებულია სსკ #177 მუხლით, რაც ქურდობას ითვალისწინებს.

# მგლების შემოსევა სურებში

***(გურია ნიუსი, ჩოხატაური)*** _ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სურებს ბოლო პერიოდში მგლები შეეჩვივნენ. ადგილობრივების თქმით, თითქმის ყოველ საღამოს მტაცებლები საქონელს ესხმიან თავს.

_ *მგლები სოფელში არავის უკვირს, თუმცა, ლამისაა სახლებში შემოგვივარდნენ, ჩვენ კი მათი მოკვლის უფლება არ გვაქვს. ჩვენთან ცხოველებს უფრო იცავენ, ვიდრე ადამიანებს,*_ აღნიშნეს ჩვენთან საუბრისას სურებლებმა, რომლებიც მთავრობას სთხოვენ ქმედითი ღონისძიებები გაატაროს და მათ მგლის მოკვლის უფლება მისცენ:

_ *დღეს საღამოს ერთ-ერთი ოჯახის ეზოში შევარდა მგელი და საქონელს თავს დაესხა. ძაღლმა წინააღმდეგობა გაუწია. მათ გაშველებაში ორი ადამიანი ჩაერთო და ორივე დაკბენილია,* _ ასეთი შეტყობინება "გურია ნიუსის" ცხელ ხაზზე, 14 მარტს, გვიან ღამით შემოვიდა.

ინფორმაციის გადამოწმებისას გაირკვა, რომ დაზიანებები ახალგაზრდებმა ძაღლის და მგლის გაშველების მცდელობის დროს მიიღეს:

_ *გაშველების დროს ძაღლმა _ კავკასიურმა ნაგაზმა დაკბინა ორივე მათგანი _ ჭრილობები საგანგაშო ნამდვილად არ არის. როგორც მითხრეს, მგელი გაიქცა,* _ აღნიშნა ჩვენთან საუბრისას **კლინიკა "მამქოლის" ექიმმა პოლინა დგებუაძემ**, რომელმაც სასწრაფო დახმარების მანქანით მიყვანილ ახალგაზრდებს შესაბამისი დახარება გაუწია.

# აქტიური მოქალაქე და დემოკრატია

***(გურია ნიუსი, ოზურგეთი)*** _ სამშაბათს, 15 მარტს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, "საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ" შეხვედრა გამართა, რომლის თემა იყო მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში.

*"ასეთი შეხვედრები კარგი შესაძლებლობაა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, რათა გამონახონ გზები სამომავლო თანამშრომლობისთვის. ყველას კარგად გვესმის, რომ აქტიური მოქალაქე ადგილობრივი დემოკრატიის სიძლიერეა",* _ თქვა "**საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის" აღმასრულებელმა დირექტორმა დავით მელუამ.**

მონაწილეებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი შეხედულებები მოქალაქეთა ჩართულობაზე ადგილობრივ მმართველობით პროცესებში, იმსჯელეს ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერების გზებზე და ხელისუფლების კომპეტენციების გადანაწილებაზე.




**შეხვედრაზე** | ფოტო: გიორგი გირკელიძე

# უპირატესობა – გზების მოწესრიგებას

***(გურია ნიუსი, ლანჩხუთი)*** _ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამათის ადმინისტრაციული ერთეულისთვის 30 584 ლარია გათვალისწინებული, ხოლო აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში იგივე პროგრამის გასახორციელებლად 26 424 ლარის გახარჯვა იგეგმება.

როგორც ირკვევა, აღნიშნული თანხები შიდა გზების შეკეთებასა და სანიაღვრე არხების მოწყობას მოხმარდება. ეს გადაწყვეტილება ადგილობრივებმა სოფლის კრებაზე მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებთან შეხვედრისას მიიღეს, სადაც იმ პრობლემებზე ისაუბრეს, რომელიც სოფლის მოსახლეობისთვის პრიორიტეტულია.



**სოფლის კრება მამათში** | ფოტო: სოფო წილოსანი

# სამახსოვრო ჩინოვნიკებისთვის

## საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
## თავიIII. ინფორმაციის თავისუფლება
## მუხლი 28. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საჯარო ინფორმაცია ღიაა გარდა საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ანდა, როდესაც ღიაობა აშკარად და გარდაუვლად არსებით ზიანს მიაყენებს:

ა) ეროვნულ უსაფრთხოებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა დაემუქრება დაგეგმილი ან განხორციელების პროცესში მყოფი სამხედრო, სადაზვერვო ან დიპლომატიურ ქმედებათა განხორციელებას და მათ მონაწილეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას;

ბ) სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებას, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა საფრთხეს შეუქმნის სამართალდამცავი ან სადაზვერვო სამსახურების კონფიდენციალური წყაროების იდენტიფიცირებას, ხელს შეუშლის დანაშაულის თავიდან აცილებას, გამოვლენას, აღკვეთასა და დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას, საფრთხეს შეუქმნის ნებისმიერი პირის სიცოცხლესა და ფიზიკურ უსაფრთხოებას ან შელახავს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის უფლებას გამოძიების საიდუმლოებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამოტანილია დადგენილება ამ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ძებნის შესახებ.

**მუხლი 36. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე.

**მუხლი 37. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა**

ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა.

**მუხლი 38. საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა**

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა.

**მუხლი 40. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ**

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ დაუყოვნებლივ.
2. საჯარო დაწესებულება ვალდებულია აცნობოს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების, მისი საფუძვლის და შესაბამისი ნორმატიული აქტის შესახებ.

მუხლი 41. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების პროცედურა, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

# "გურია ნიუსის" ჟურნალისტთა ეთიკური კოდექსი

❖ ჟურნალისტი ვალდებულია თქვას სიმართლე, გადაამოწმოს მიღებული ინფორმაცია და დააზუსტოს ყველა მხარის ინტერესები, არ შელახოს პიროვნების უფლებები, უდანაშაულობის პრეზუმპცია და დაიცვას ინფორმაციის წყაროს პირადულობა.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია პირველ რიგში დაიცვას მოქალაქეთა უფლებები და საზოგადოების ინტერესები, არ დაუშვას დისკრიმინაცია ნებისმიერ საფუძველზე.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია თავისი ცხოვრების წესისგან გამომდინარე, შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა მათგან, ვისზეც ის წერს.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია ასრულებდეს ნებისმიერ ძალაუფლებაზე დამოუკიდებელ მონიტორინგს სამოქალაქო ჟურნალისტიკის პრინციპების სასარგებლოდ.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია არ გააზვიადოს მოვლენები, შეინარჩუნოს სიმშვიდე, მზად იყოს უარის ან შეურაცხყოფისთვისაც კი.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია არ იყოს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, არ დაუშვას შეფარული ან პირდაპირი რეკლამა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის საფუძველზე არ დაუშვას კერძო ან ეკონომიკური ხასიათის გავლენა მასზე.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია განსაკუთრებით დაიცვას ბავშვთა უფლებები, ხელშეუხებლად მიიჩნიოს მისი პიროვნების საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბების პროცესი.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია ფართოდ ითანამშრომლოს კოლეგებთან, შექმნას კომპრომისული და მიმტევებლობის ატმოსფერო.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია სიტყვით, საქმით და სამოქალაქო პასუხისმგებლობით დაიცვას ჩვენი გაზეთის ინტერესები და ეს ეთიკური კოდექსი გაზეთის პოპულარობისა და პრესტიჟის გასაზრდელად.

# იგეგმება სამეურნეო ტყეების შექმნა

სოფო წილოსანი
გურია ნიუსი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ჩახვაძის თქმით, 2017 წლიდან იგეგმება სამეურნეო ტყეების შექმნა, რომელიც საკუთრებაში მუნიციპალიტეტს გადაეცემა. საამისოდ მთავრობას საკრებულომ უნდა წარუდგინოს ჯეროვნად შემუშავებული გეგმა და დაარწმუნოს ის, რომ მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემით, მნიშვნელოვნად დაცული იქნება ტყის საფარი და მოწესრიგდება სამეურნეო საქმიანობა.**



**გიორგი ჩახვაძე** | ფოტო: სოფო წილოსანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ შეიმუშავა პროექტი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის შესახებ და განსახილველად საკრებულოს წარუდგინა. აღნიშნული წესის მიღება ეხება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ნარგავებს _ ქარსაფარი ზოლი, სკვერები და ასე შემდეგ.

**გიორგი ჩახვაძის** თქმით, ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებულ ქონებათა რიცხვში შედის მწვანე ნარგავები, რომელთა მოჭრა, გამონაკლისის შემთხვევების გარდა, აკრძალულია. სწორედ ეს გამონაკლისი შემთხვევებია გათვალისწინებული ზემოთ ნახსენები კომისიის მიერ შემუშავებულ და საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენილ პროექტში.

პროექტის ავტორთა განმარტებით, მათ მიერ შემუშავებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის მიზანს წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებული მწვანე ნარგავების ეკოლოგიური წონასწორობის, ხეების ხნოვანებითი სტრუქტურის, სახეობრივი შემადგენლობისა და ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნების, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბების, კლიმატური პირობების შენარჩუნებისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი ფაქტორების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებათა ჩატარებისას წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირება.

გარდა ამისა, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, რეგულირდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის, მათი აღრიცხვის უწყისის წარმოების, მოსაჭრელი ხეების უბნის გამოყოფამონიშვნის და მოპოვებული (ფუნქციადაკარგული) მერქნის გასხვისების წესები.

კომისიას მიაჩნია, რომ ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მათ მიერ შემუშავებული წესის პრაქტიკაში გახორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლას და მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების დარეგულირებას.

*"მუნიციპალურ საკუთრებაში ტყის გადმოცემით, უნდა მოგვარდეს ის საკითხი, რომლის გადაჭრასაც, ბოლო ათი წელია, უშედეგოდ ვცდილობთ, ამ კატეგორიის ტყეების არსებობა კი, უპირველესად, ხელსაყრელი იქნება მოსახლეობისთვის, რადგან დღემდე პრობლემურად რჩება მათთვის სამასალე ხის მოპოვება. სწორედ ამის დარეგულირებას ითვალისწინებს ჩვენ მიერ შემუშავებული წესი", _* ამბობს ჩახვაძე

როგორც ირკვევა, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გააჩნია საკრებულოს წევრთა მხრიდან _ ზოგი მათგანი მიიჩნევს, რომ სამომავლოდ კარგი იქნება, ადგილზე შეიქმნას სანერგე მეურნეობა:

*"ფაქტობრივად, ლანჩხუთის ქარსაფარი ზოლი გაუბედურებულია და განახლებას საჭიროებს. ამ პროექტს, რომელიც საკმაოდ კარგია, აუცილებლად უნდა მოჰყვეს ადგილზე სანერგე მეურნეობის შექმნა, რომელიც გააშენებს ამ ტყეებს. საამისოდ კი აუცილებელია, შეიქმნას რაღაც სამსახური, მუნიციპალიტეტმა უნდა გამოყოს ტერიტორია, სადაც სხვადასხვა ხის ჯიშებს გამოიყვანენ", _* თქვა პროექტის განხილვისას **დეპუტატმა გია გოგუაძემ.**

# ვაკიჯვარში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა იგეგმება

ა-1▸

ებმა თქვეს, ეს კვლევა აუცილებლად ჩატარდა: *"კვლევა ჯერ ვერ ჩავატარეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ ჩატარდება. დარწმუნებული იყავით, კვლევა აუცილებლად გახორციელდება", _* ითქვა შეხვედრაზე.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, *"საპროექტო ჰესის ჰიდროტექნიკური ნაგებობები განთავსებული იქნება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე. მათ შორის, დერეფნის უდიდესი ნაწილი ხვდება სატყეო ფონდის ფარგლებში. საპროექტო ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოხდება საკითხის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ "ეროვნული სატყეო სააგენტოსთან" შეთანხმება და პროექტის გახორციელება დაიწყება შესაბამისი ნებართვის მიღების შემდეგ.*

*ჰესის კომუნიკაციების დერეფანი არ გაივლის მოსახლეობის კერძო მიწებზე. შესაბამისად, კერძო ნაკვეთებზე ან ქონებაზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.*

*სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში მოსალოდნელია ეროზიის გააქტიურება, ასევე, თაროების გაჭრის შედეგად მოსალოდნელია მცირე მასშტაბის მეწყრულ-გრავიტაციული პროცესები. წინასწარი კვლევებით, საპროექტო დერეფანში განსაკუთრებით რთული უბნები გამოვლენილი არ ყოფილა. პროექტის გახორციელების პროცესში საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების პრევენციულ ღონისძიებებს მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა.*

*ექსპლუატაციის ეტაპზე საპროექტო დერეფანში ეროზიულმა პროცესებმა, შესაძლოა, რამდენიმე წელიწადს გასტანოს (სანამ არ განვითარდება მცენარეული საფარი), პროცესების შეჩერების, მილსადენის და სხვა ნაგებობების დაცვის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, გატარებული იქნება შესაბამისი ღონისძიებები.*

*ჰესის შენობის განთავსების ტერიტორიაზე არსებული დამაკმაყოფილებელი საინჟინრო-გეოლოგიურ პირობები, შესაბამის საპროექტო გადაწყვეტებთან ერთად, მაქსიმალურად ამცირებს საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკებს.*

*საპროექტო დერეფანი გადის საკმაოდ მაღალი სიხშირის ტყით დაფარულ ზონაში. ნაგებობების მშენებლობისთვის მუდმივ სარგებლობაში გამოყოფილი ტერიტორიიდან მნიშვნელოვან ნაწილზე საჭირო იქნება მცენარეების მოჭრა-ამოძირკვა. ზემოქმედების ფარგლებში, შესაძლოა, მოექცეს დაცული სახეობებიც. ნაკლებად მოსალოდნელია (და, პრაქტიკულად, გამორიცხული), რომ სამშენებლო სამუშაოებმა გამოიწვიოს მცენარის რომელიმე სახეობის განადგურება, თუმცა, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს პოპულაციების შემცირებას.*

*ჰაბიტატის ფრაგმენტაციით გამოწვეული ზემოქმედება, რიგ შემთხვევაში, არ იქნება გრძელვადიანი. მშენებლობის ეტაპის დასრულების შემდგომ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით ბევრ უბანზე ჰაბიტატის აღდგენა მოსალოდნელია რამდენიმე წელიწადში. ასევე, პროექტის მიხედვით, გათვალისწინებულია მიწისქვეშა მილსადენის მოწყობა, რაც ამცირებს ზემოქმედებას.*

*საერთო ჯამში, მცენარეულ საფარსა და ადგილობრივი ჰაბიტატის მთლიანობაზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც მნიშვნელოვანი. პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედება შეიძლება შემცირდეს სამუშაოთა სწორი ორგანიზაციის/მენეჯმენტის და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით.*

*საკუთრივ ჰესის ოპერირება მცენარეული საფარის ამოძირკვა-გაჩეხვის სამუშაოების შესრულებას ნაკლებად საჭიროებს.*

*ზოოლოგიური კვლევებით დადგინდა, რომ პროექტის გახორციელების დერეფანში შესაძლებელია ბინადრობდეს ან შემთხვევით მოხვდეს საქართველოს წითელ ნუსხაში შესული ცხოველთა სახეობები. მათზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირების კუთხით გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილია შემარბილებელი ღონისძიებები.*

*ექსპლუატაციის ეტაპზე განსაკუთრებით აღსანიშნავია ნეგატიური ზემოქმედება იქთიოფაუნაზე, რაც დეტალურადაა განხილულია გზშ-ს ანგარიშის შესაბამის თავებში.*

*ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაზიანება და სტაბილურობის დარღვევა, ძირითადად, მოსალოდნელია მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოების დროს, რაც დაკავშირებული იქნება ტექნიკის გადაადგილებასთან, მიწის სამუშაოებთან, დროებითი და მუდმივი ინფრასტრუქტურის მოწყობასთან და ასევე გამონამუშევარი ქანების საბოლოო განთავსებასთან.*

*გზშ-ში გათვალისწინებულია ცალკეული შემარბილებელი ღონისძიებები, რაც შეამცირებს ნიადაგის სტაბილურობაზე და ნაყოფიერებაზე დამატებით ზემოქმედებას.*

*სათავე კვანძზე დიდი ფართობის მქონე წყალსაცავის შექმნა არ იგეგმება. შესაბამისად, ზედა ბიეფში შექმნილი ტბორით მნიშვნელოვანი ფართობის ტერიტორიის დატბორვა არ მოხდება".*

საბოლოო ჯამში, კომპანიის წარმომადგენელი შეხვედრით კმაყოფილი დარჩა: *"მე მგონი, შეხვედრა ნაყოფიერი იყო და აუცილებლად მოვახერხებთ ყველა შენიშვნის გათვალისწინებას"* _ თქვა "ენერჯი სოლუშენს ნატანების" დირექტორმა გიორგი აბრამიშვილმა.

# ვინ იცავს მომხმარებლების უფლებებს

## რა ვალდებულებები აქვს საქართველოს ევროკავშირთან

თამთა კაკაურიძე
გურია ნიუსი

**სურსათის უვნებლობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით, საქართველოში არსებული კანონმდებლობა ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი არ არის. რეგულაციები, რომელსაც კანონმდებლობა აწესებს, მომხმარებელთა უფლებების დაცვას საერთოდ ვერ უზრუნველყოფს.**

**შედარებით უკეთესი მდგომარეობაა კანონმდებლობაში სურსათის უვნებლობის კონტროლს კუთხით, რომელსაც ქვეყანაში სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს. ეს უწყებაა ვალდებული საწარმოებში ჰიგიენისა და მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლზეც.**

**თუმცა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მხრივ, როგორც საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ამბობენ, მდგომარეობა რთულია. ამიტომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის გასაუმჯობესებლად გასული წლის ზაფხულიდან პარლამენტი ევროინტეგრაციის კომიტეტის ინიცირებულ კანონპროექტს განიხილავს. კანონპროექტი პირველი მოსმენით მიღებულია, თუმცა კანონად ქცევამდე, კიდევ 2 მოსმენაა სავალდებულო. კანონპროექტის ინიციატორები იმედოვნებენ, რომ კანონის მიღება საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე მოესწრება.**



**ლია თოდუა** | ფოტო: აკაკი სიხარულიძე

როგორია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა, სტრატეგია, რას არეგულირებს კანონი და რა რჩევები აქვთ ექსპერტებს, "გურია ნიუსი" **საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამის კოორდინატორს ლია თოდუას ესაუბრა.**

***_ "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კანონპროექტი, რომელიც შემუშავებულია რამდენად არის სრულყოფილი და მოახერხებს თუ არა მაქსიმალურად მომხმარებლის უფლებების დაცვას?***

*_ კანონპროექტი მომზადდა ერთობლივად სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მიერ. ეს არ არის მომხმარებლების აბსოლუტური დაცვა, ეს არის რაღაც კონსენსუსი, უფრო რბილი კანონი, იმასთან შედარებით, რაც ევროკავშირის შეთანხმებით 2019 წლისთვის გვევალება რომ გვქონდეს. ამიტომ მანამდე რბილი, გარდამავლი პერიოდის კანონია. ეს კანონი მაგალითად, არ ითვალისწინებს იმას, რომ მომხმარებლის უფლების დარღვევაზე მაშინვე დაჯარიმდეს მეწარმე. ითვალისწინებს იმას, რომ იქნება საჯარო ორგანო - მომხმარებლის ომბუდსმენი, რომელიც დაეხმარება მომხმარებელს, მოიწვევს დამრღვევ მეწარმეს, შეეცდება, რომ მიაღწიოს შეთანხმებას, დაარწმუნებს მეწარმეს, რომ არ დაჩაგროს მომხმარებელი და თუ ამას ვერ შეძლებს, შემდეგ მიმართოს სასამართლოს.*

*ომბუდსმენი, წელიწადში ერთხელ, თავისი მოხსენებით წარსდგება პარლამენტის წინაშე და ნელ-ნელა ის კომერციული პრაქტიკებიც გამოვლინდება, რაც საქართველოშია და სწორედ მათი შეტანა მოხდება მომავალში კანონმდებლობაში და აღმოფხვრა. ევროპული კანონმდებლობის კოპირება არ გავაკეთეთ და ვცდილობთ მოვერგოთ ქართულ რეალობას.*

***_ არსებული კანონმდებლობით, ბიზნეს სუბიექტებს აქვთ ვალდებულება შეამოწმონ როგორც პროდუქცია რასაც აწარმოებენ ან ყიდიან, ასევე მომსახურე პერსონალი, რომელიც საზოგადოებას ემსახურება. რა ვადებს უწესებს მეწარმეს კანონი ამ შემოწმებისას და მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობას ვინ და როგორ ამოწმებს საქართველოში?***

*_ სურსათის უვნებლობაზე დღევანდელ მსოფლიოში არსად არ იღებს სახელმწიფო პასუხისმგებლობას _ პასუხისმგებლობა ეკისრება მეწარმეს, რომელიც ვალდებულია შეამოწმოს როგორც საწარმო, ასევე მაღაზია, იმაზე, თუ რა შეიძლება ხდებოდეს ისეთი, რაც სურსათის დაბინძურებას გამოიწვევს.*

*მათ შორის, მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლიც. ეს მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობისთვის. მეწარმემ, იქნება ეს მაღაზიის დირექცია, ბაზრის, ან სამრეწველო ობიექტის ხელმძღვანელობა, რეგულარულად უნდა აწარმოოს. თუმცა, რა სიხშირით, ამას არავინ არ ადგენს. გააჩნია, საწარმოს როგორი წარმადობა და დიზაინი აქვს, რას ყიდის ის, რას აწარმოებს. თუ შეფუთულ გაყინულ ნახევარფაბრიკატებს ყიდის, მას მოეთხოვება მხოლოდ, რომ მაცივარში ტემპერატურა იყოს დაცული და ეს პროდუქცია არ ლღვებოდეს. თუ ხელზე სჭირს რაიმე დაავადება გამყიდველს და ეს დაავადება შესაძლოა გადავიდეს, რა თქმა უნდა, ეს უნდა აღმოიფხვრას. მაგრამ თუ საქმე ეხება ბაზარს ან მაღაზიას, სადაც ხორცი იჭრება და იყიდება, ეს არის დაბინძურების მხრივ მაღალი საფრთხის წარმოება და მათ განსაკუთრებული სისუფთავე მოეთხოვებათ. კანონმდებლობით დადგენილია ზოგადი ჰიგიენის ნორმები, მაგალითად, სამუშაო ზედაპირები უნდა იყოს ისეთი, რომელიც კარგად იწმინდება, ჰყავდეს ჯანმრთელი პერსონალი, რომელიც რეგულარულად ხელს იბანდეს, უნდა ჰქონდეთ ისეთი ფორმები, რომ თმები არ ჩაცვივდეს საჭმელში, უნდა ეცვათ ხელთათმანები და ა. შ. მაგრამ რა სიხშირით უნდა იცვლიდნენ ხელთათმანს და იბანდნენ ხელებს, ასეთ რამეს კანონი არ დაგიწერს.*

*მაგრამ ახლა ხდება ჩვენთან შემოღება (ევროკავშირში უკვე არის), ეს არის ე.წ. HACCP ("ჰასპი) _ საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული წერტილების აღმოჩენისა და აღმოფხვრის სისტემა. ყველა კონკრეტული მეწარმე ობიექტი ექვემდებარება უსაფრთხოებაზე აუდიტს. უნდა შემოწმდეს სად შეიძლება სურსათი ბინძურდებოდეს, ფუჭდებოდეს, ძველდებოდეს და ა.შ. ყველა საფრთხის შემცველი წერტილი უნდა აღირიცხოს და გაიწეროს, როგორ უნდა აღმოიფხვრას. თითოეულ მეწარმეს უნდა ჰქონდეს ეს შედგენილი განსაკუთრებით თუ მას ურთიერთობა აქვს ცხოველური წარმოშობის ნაწარმთან. ევროპაში ყველა მეწარმეს აქვს ეს "ჰასპი", რომელსაც თევზთან, რძესთან, ხორცთან ან კვერცხთან აქვს კავშირი. ეს წესი ჯერ ჩვენთან არ არის შემოტანილი. აქ მოქმედებს ზოგადი ჰიგიენის წესები, რომელიც იმდენად ზოგადია, რომ სანამ ინსპექტორი არ მივა და დაუკონკრეტებს, რომ ასეთი ზედაპირის მაგიდაზე არ შეიძლება საჭმლის კეთება, მანამდე ვერ ხდება აღმოჩენა და გამოსწორება. ფაქტიურად, ინსპექტორები უსრულებენ ამ აუდიტის როლს. ახლა შეიტანეს კანონმდებლობაში ის წესი, რომ ეტაპობრივად, ყველა მეწარმეს ჰქონდეს "ჰასპი". აქამდე მხოლოდ რძის მწარმოებლებს და სასაკლაოებს ჰქონდათ მისი ქონის ვალდებულება. თუმცა, ეს ალბათ ეტაპობრივად შემოვა და დაექვემდებარებიან ჯერ მსხვილი საწარმოები, მერე წვრილი და ა.შ.*

***_ რამდენ ბიზნეს სუბიექტს ამოწმებს სურსათის ეროვნული სააგენტო და არის თუ არა ეს შემოწმება საკმარისი?***

*_ რეალურად, დღეს, სააგენტოს მოცული აქვს 5-6 ათასი მეწარმის შემოწმება. არადა, იცის, რომ 100 ათასი და მეტია რეგისტრირებული. თუმცა, ამდენის შემოწმებას ვერ ახერხებს.*

*ყოველ წელს ახალი 5 ათასი რომ შეამოწმონ მაინც 20 წელი დასჭირდება ყველას შემოწმებას. მაღაზიებმა, კაფეებმა, რესტორნებმა იციან, რომ მათთან სააგენტო შესამოწმებლად შესაძლოა არასდროს მივიდეს. ასე არ უნდა იყოს. 5 წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შედიოდნენ. მასშტაბებია სერიოზულად გასაზრდელი. გარდა ამისა, იქ სადაც ვერ შედის სააგენტო, საგანმანათლებლო საქმიანობა მაინც უნდა იყოს. რამდენი მეწარმეა, რომელსაც აქვს კანონის დაცვის სურვილი, მაგრამ არ იცის ეს როგორ გააკეთოს. ჰიგიენის ნორმები, რასაც კანონმდებლობა ადგენს, ზოგადია, დაკონკრეტება, სანამ ინსპექტორი არ მოვა, შეუძლებელია.*

***_ არის თუ არა ის ჯარიმები ადეკვატური, რასაც დამრღვევ მეწარმეს კანონმდებლობა აკისრებს _ პირველ ჯერზე 400 ლარი, განმეორების შემთხვევაში კი _ 1200 ლარი?***

*_ არავინ არ შეასრულებს ამას სანამ არ იქნება დასჯა. ეს დასჯაც ადეკვატური უნდა იყოს. ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ მისი დარღვევა არავის მოუნდეს. თუ გყავს მეწარმე, რომელსაც დარღვევა უფრო იაფი უჯდება, ვიდრე დაცვა, ეს ნიშნავს, რომ შენი ჯარიმების სისტემა არ მუშაობს.*

# "30 წელზე მეტია მე ვამუშავებდი მიწას და ახლა იქ სტადიონი გააკეთეს"

გიორგი გირკელიძე
გურია ნიუსი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარში მცხოვრები თალიკო დოლიძე "გურია ნიუსის" ოზურგეთის ოფისს გასული კვირის მიწურულს ეწვია და თავისი პრობლემის შესახებ ესაუბრა.**



**თალიკო დოლიძე** | ფოტო: გიორგი გირკელიძე

*"2012 წლის ივლისიდან ჩემი უფლებები ირღვევა და ყურადღებას არავინ მაქცევს. ახლა წერილი მივწერე სახალხო დამცველს უჩა ნანუაშვილს და ვნახოთ, რა რეაგირება იქნება. ჩემს საკარმიდამო ნაკვეთში მოზომილი მქონდა მიწის ნაკვეთი, რომელიც შემოვღობე და 32 წლის განმავლობაში ვსარგებლობდი, როგორც საკუთარს. ერთ დღეს ეს ღობე მომიხსნეს და საფეხბურთო მოედანი გააკეთეს. საბუთებით დავდივარ ყველა უწყებაში, რომელსაც ამ საკითხის გარკვევა ევალება და ყველგან უსამართლობა მხვდება. ხომ შეიძლება ერთხელ და სამუდამო დასრულდეს ეს საქმე?! 76 წლის ვარ და ასეთი უსამართლობა არ მინახავს. ვითხოვ სტადიონის გაუქმებას, რომელიც ჩემს საცხოვრებელ სახლთან ახლოსაა და დამიბრუნდეს ჩემი მიწის ნაკვეთი. როდის გახდა ეს მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს? 30 წელზე მეტია მე ვამუშავებდი მიწას და როდესაც დაჭირდათ, წამართვეს.*

*ახლა სტადიონზე ფეხბურთს ნაკლებად თამაშობენ და უფრო სოფლის "ბირჟად" არის გადაქცეული. გარდა მისა, ამ ამბების შემდეგ მომიკლეს ცხენი და ახლა ძაღლი",* _ ამბობს ჩვენთან საუბრისას **თალიკო დოლიძე.**

პირველი წერილი ჩვენმა რესპონდენტმა საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს მისწერა: *"ძალიან დიდ ბოდიშს გიხდით ასეთ უბრალო საკითხისთვის, მაგრამ იმიტომ გაწუხებთ, რომ ირღვევა ჩემი უფლებები _ ნაგომარში სტადიონი მაინც და მაინც ჩემი მიწის ნაკვეთზე გაკეთდა. არ შემიძლია ხმაურის ატანა, რადგან ვარ 70 წელს გადაცილებული და მომაქციეთ ყურადღება".*

"გურია ნიუსი" დაუკავშირდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარში მცხოვრებ რამდენიმე ადამიანს, რომელთა თქმით, თალიკო დოლიძე წლების განმავლობაში ნამდვილად ამუშავებდა იმ მიწის ნაკვეთს, სადაც ახლა სტადიონია. თუმცა, ვერ აკონკრეტებენ, იყო თუ არა ეს მიწის ნაკვეთი დოლიძის მფლობელობაში.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა სოფელ ნაგომარში** მიხეილ ცქვიტიშვილმა "გურია ნიუსთან" საუბრის დროს აღნიშნა, რომ თალიკო დოლიძემ გამგეობისგან თავის წერილზე პასუხი მიიღო: *"2012 წელს სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გაკეთდა მინი-სტადიონი. ამ ქალბატონის თქმით, მიწის ნაკვეთი, რომელზეც ახლა სტადიონია, თავის მფლობელობაში იყო. გამგეობისგან მიწერილ წერილში კი აღნიშნულია, რომ მიწის ნაკვეთი დოლიძეს არ ეკუთნოდა",* _ გვითხრა ცქვიტიშვილმა.

**სოფლის დეპუტატი ალეკო გოგოძე** ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ აღნიშნულ პრობლემას გაეცნო: *"გავეცანი აღნიშნულ პრობლემას და მინდა გითხრათ, რომ იმ დოკუმენტაციის მიხედვით, რაც ქალბატონ თალიკოს გააჩნია, აღნიშნული მიწის ნაკვეთი მის მფლობელობაში არაა",* _ გვითხრა გოგოძემ.

## განცხადებები

### ყურადღება!

დამკრძალავი ბიურო გთავაზობთ მომსახურებას მაცივარი 30 ლარიდან. ჩაცმა, გამზადებული სასახლეები _ 180 ლარიდან. სუდარა, საფლავის ამოღება, კატაფალკა, ეკვდერის დამზადება, მარმარილოს ქვები. ღვინო. სრული სერვისის შემთხვევაში _ სუდარა უფასოდ.

ჩოხატაური. ბეჟან ხაბეიშვილი. (599) 903501 (579) 231023

### ყურადღება!

დამკრძალავი ბიურო მოგემსახურებათ სრული სერვისით: მაცივარი და მიცვალებულის ჩაცმა _ 60 ლარი. საფლავის გამზადება. სასახლე _180 ლარიდან. საჭიროების შემთხვევაში ქირურგიული ჩარევა, ტრანსპორტირება.

ჩოხატაური. ამირან ჭეიშვილი.

(593) 531391, (599) 784506.

### ყურადღება!

ვიბარებ 70 კგ. და მეტის წონის ღორებს. უმაღლეს ფასში.



(595) 242327 _ ბექა.

## უფასო განცხადებები

### იყიდება

2-სართულიანი, კაპიტალური სახლი, 1 ჰა მიწის ნაკვეთით, თხილებით, ვენახით გაშენებული ეზოთი, ბუნებრივი აირით.
ჩოხატაური, სოფ. ახალშენი.
ტელ: (591) 287441.

ჩოხატაურში, საკოლმეურნეო ბაზართან, უნივერმაღის გვერდით, 45 კვმ. ფართის შენობა.
ტელ: (591) 154545.

ჩოხატაურში, სასამართლოს შენობასთან ახლოს, სახლი.
ტელ: (558) 447300.

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, 3800 კვმ. ჩოხატაურში, კოსტავას 27-ში, ბენზინგასამართ სადგურ "გიოილთან".
ტელ: (599) 530366.

ჩოხატაურის ცენტრში, 4-ოთახიანი, წაბლის ხის სახლი, კარგ მდგომარეობაში.
ტელ: (599) 457335.

დაბა ჩოხატაურში, ფიროსმანის 3-ში, კაპიტალური სახლი, 4 საძინებლით, დიდი მისაღები ოთახით, კორიდორული სისტემით, გაზის და წყლის შეყვანის პერსპექტივით (მიყვანილია ეზომდე), 1700 კვმ. მიწის ნაკვეთით. ტელ: (598) 311824.

ჩოხატაურის ცენტრში, ერთოთახიანი ბინა, გარემონტებული.
ტელ: (558) 444503.

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, 7000 კვმ. რეგისტრირებული ელექტრონული ვერსიით.
ჩოხატაური, კოსტავას ქუჩა.
ტელ: (599) 004815.

ჩოხატაურში, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, 30 კვმ. მიწის ნაკვეთი.
ტელ: (591) 929898.

კომერციული ფართი. ჩოხატაური, დუმბაძის ქ. (ყოფილი წიგნების მაღაზიის შენობაში).
ტელ: (599) 375700, (568) 565169.

ჩოხატაურში, პოლიციის შენობის უკან, საერთო საცხოვრებელ კორპუსში, 3-ოთახიანი ბინა, ევრორემონტით, მიშენების პერსპექტივით, მიწის ნაკვეთით და სარდაფით.
ტელ: (595) 416775.

ჩოხატაურში, სოფ. გუთურში, სკოლასთან ახლოს, 3200 კვმ. გაშენებული მიწის ნაკვეთით, მუდმივი წყლით, ბუნებრივი აირით და დამხმარე ნაგებობებით.
ტელ: (597) 000603, (577) 148781.

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, 7000 კვმ. დარეგისტრირებული ელექტრონული ვერსიით, ყოფილი მდივნების სახერხთან. ჩოხატაური-გორას მიმართულებით.
ტელ: (599) 004815.

1500 კვმ. მიწის ნაკვეთი, ხიდისთავში, გზასთან ახლოს, დარეგისტრირებული, ბუნებრივი აირი მიყვანილია ეზომდე. ტელ: (599) 614111.

ოზურგეთში, რუსთაველის 85-ში ბელეტაჟი სახლი. ტელ: (598) 284418.

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, 4,5 ჰა. 1 კვმ. 50 თეთრი.
ტელ: (551) 349911.

წაბლის ხის სახლი, დასაშლელი, კარგ მდგომარეობაში. ჩოხატაური, სოფ. ზემოფარცხმა, ტელ: (558) 675326.

ჩოხატაურში, სოფ. გორაბერეჟოულში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სხვადასხვა ჯიშის ხეხილით გაშენებული, 1 ჰა მიწის ნაკვეთით.
ტელ: (599) 128969.

დასაშლელი ხის სახლი.
ტელ: (598) 183647.

მშენებარე სახლი დაბა ჩოხატაურში, ბენდელიანის და წერეთლის ქუჩების კვეთაში.
ტელ: (577) 625152, (577) 171164.

ტრაქტორი, "ბელარუსი-80", ფარცხით და მისაბმელით. ავტომანქანა "08", კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: (557) 162726.

ავტომანქანა "mersedes benci-E 124" (ე.წ. "ეშკა"), იაპონიიდან ჩამოყვანილი, ქარხნული, მარცხენა საჭით, ორიგინალი, 108 000 კმ. გარბენით. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (598) 108118.

ავტომანქანა "ფორდ ტრანზიტი" და ავტომანქანა "უაზი".
ტელ: (577) 782882.

სასწრაფოდ, ავტომანქანა "აუდი 100".
ტელ: (558) 447300.

ავტომანქანა "მერსედესი 190", 1990 წლის გამოშვება, შავი ფერის, 18 კბ. გაზით, მესამე თაობა.
ფასი 1100 დოლარი.
ტელ: (599) 020728.

ავტომანქანა "პაჯერო", ჯიპი, ბენზინზე და გაზზე, 2000 წლის გამოშვება, ფასი 3500 დოლარი.
ტელ: (593) 979652.

სასწრაფოდ, ავტომანქანა "ნივა" 2014 წლის გამოშვება, იდეალურ მდგომარეობაში, ზამთრის და ზაფხულის საბურავებით, ახალი საბარგულით.
ტელ: (551) 098899, (551) 254037.

ექსკავატორი, თავისი კოვშით და დანით, საუკეთესო მდგომარეობაში.
ტელ: (595) 423400.

ავტომანქანა "ფორდ ტრანზიტი", 1996 წლის, დუტი. ტელ: (598) 494204.

ტრაქტორი ტ-11, კარგ მდგომარეობაში. ტელ: (577) 775819.

"გაზელი", ფორდის ძრავით, 2.5 დიზელზე.
ტელ: (551) 254037, (551) 098899.

ფუტკრის ოჯახები.
ტელ: (593) 112008.

ღვინო "რქაწითელი", "ევროპული" და "მანავის მწვანე" ქარხნული.
ფასი შეთანხმებით.
ტელ: (597) 734637, (592) 252199.

მამალი ცხენი, 5 წლის, დაწმენდილი. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (551) 175338, დოდო.

ფუტკრის ჯანმრთელი და ძლიერი ოჯახები ან იცვლება სამშენებლო მასალაზე.
ტელ: (598) 414373, (598) 311824.

"ცოლიკაურის" ნერგები.
ტელ: (599) 608556.

კივის ნერგები.
ტელ: (558) 976064.

ჩვილხბოიანი ძროხა.
ტელ: (599) 334065.

3 თხა, 1 ვაცი და 4 თიკანი.
ტელ: (595) 423400.

მეწველი თხები, კარგი ჯიშის.
ტელ: (551) 189590, (790) 547084.

ძროხა, მესამე ხბოობა, 8 ლიტრი წველადობის. 100 კგ-იანი უშობელი.
ტელ: (598) 397911.

ჩვილხბოიანი ძროხა, პირველი ხბოობა, 5-6 ლიტრი წველადობის, ფური ხბოთი.
ტელ: (593) 270853.

2 ძროხა, ჩვილხბოიანები, კარგი ჯიშის. ჩოხატაური. ტელ: (596) 106224.

უმაღლესი ხარისხის ვენახის ნერგები. ტელ: (558) 464412, (557) 466751.

### ქირავდება!

ჩოხატაურის ცენტრში, სასაწყობე ფართი. ტელ: (577) 957903.

ჩვილხბოიანი ძროხა, პირველი ხბოობა, 5-6 ლიტრი წველადობის, ფური ხბოთი. ტელ: (598) 933895.

ჩოხატაურის ცენტრში, ფართი.
ტელ: (598) 183647.

ჩოხატაურის ცენტრში, სავაჭრო ცენტრის მეორე სართული.
ტელ: (568) 413656.

### შევიძენ!

სასწრაფოდ, ხორცის გასატარებელ მანქანას, 3-ფაზიანს. ტელ: (577) 230099.

თხმელას მასალას, 2.2 მ-იანს, 20 სმ და მეტი სიგანით, 2.5/3 სმ სისქის.
ტელ: (599) 903501, (579) 231023.

მსუბუქი ავტომანქანის მისაბმელს, გაფორმებულს, სასურველია 2 მ-ზე მეტი სიგრძით, სიგანე არა ნაკლები 1,20 მ-ისა. ტელ: (598) 414373.

თაფლის სანთელს.
ტელ: (598) 311824, (598) 414373.

ავტომანქანა "აუდი 100"-ის გადაცემათა ყუთს, მექანიკურს, 2.8 ძრავის მოცულობით.
ტელ: (558) 447300, (577) 957974.

კომერციულ ფართს, ჩოხატაურის ცენტრში. ტელ: (593) 909343.

2 ჰა მიწის ნაკვეთს, ჩოხატაურში, სასურველია სოფ. გოგოლესუბნის ტერიტორიაზე, ტელ: (599) 002780, (5930 004541.

### ყურადღება!

ვიქირავებ ჩოხატაურის ცენტრში ერთოთახიან ბინას, პირველ სართულზე. ტელ: (579) 231023.

### უფასო განცხადების ტალონი №20

........................................

........................................

........................................

ტელეფონი: ........................................





ბუკლეტების, ჟურნალების,
აფიშების, მოსაწვევების,
სავიზიტო ბარათების და
სხვა მრავალი
პოლიგრაფიული ნაწარმის ბეჭდვა
იაპონური ხარისხით!




ნებისმიერი გამოსახულების, ფოტოს,
წარწერის გადატანა მაისურებზე!
წარწერების გაკეთება ავტომანქანებზე,
ვიტრინებზე, მაღაზიებზე,
ნებისმიერ მყარ ზედაპირზე!



მისამართი: ჩოხატაური, დუმბაძის 25
ტელეფონი: 551373636; 577625007

## ხსოვნა

შოთა თედორაძის ოჯახი იუწყება **ამროსი მეფარიშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



ნანული, დათო, ბაჭია ქორიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან **სერგო კოროშინაძის** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს და ყველა ახლობელს.



გივი გოგოლაძე ოჯახით თანაუგრძნობს ზურიკო ბერძენიშვილის ოჯახს ქალბატონი **ცაცას** გარდაცვალების გამო.



მაქსიმე ბოლქვაძის ოჯახი მწუხარებით იუწყება ოჯახის უახლოესი მეგობრის **ბახვა ქლენტის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს.



გივი გოგოლაძე ოჯახით იუწყება **ბახვა ქლენტის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს.



ოთარ ტუღუშის ოჯახი მწუხარებით იუწყება **ბახვა ქლენტის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.



ინგა და ხათუნა დოლიძეები იუწყებიან საუკეთესო მეგობრის და მეზობლის **სერგო (ჭიპილო) კოროშინაძის** გარდაცვალებას და სამძმარს უცხადებენ ოჯახს, ახლობლებს.



ბაჩი გოგიბერიძე ოჯახით თანაუგრძნობს ზურაბ ბერძენიშვილის ოჯახს ქალბატონი **ცაცას** გარდაცვალების გამო.



გუგული, ვიტალი გუდავაძეები ოჯახით იუწყებიან უხლოესი ადამიანის **კობა კალანდაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.



ანზორ ელიეშვილი ოჯახით იუწყება კეთილშობილი, უპატიოსნესი და უნიჭიერესი დედმამიშვილის **ალიოშა ელიეშვილის** გარდაცვალებას.



ლამარა, ნატო, დარიკო წილოსნები თანაუგრძნობენ ინგა ლომთათიძეს და სერგო კოტრიკაძეს მამისა და სიმამრის ბატონი **გოგის** გარდაცვალების გამო.



იური სიხარულიძის ოჯახი, შვილებით მანანა, მაია, მანონი, ზვიადი, შორენა თანაუგრძნობენ ლამარას, მაიკოს, გოჩას, ვახტანგს, შვილიშვილებს **ბახვა ასლანის ძე ქლენტის** გარდაცვალების გამო.



რაგული კიწმარიშვილი ოჯახით, დიდი გულისტკივილით იუწყება საყვარელი პიროვნების **სერგო კოროშინაძის** გარდაცვალებას.



კიაზო ბოლქვაძის ოჯახი იუწყება **კობა კალანდაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მეუღლეს, შვილებს, ახლობლებს.



გოჩა ტყეშელიაძე ოჯახით იუწყება კაცური კაცის **ბახვა ქლენტის** გარდაცვალებას.



ბადრი ცინცაძე ოჯახით იუწყება **ბახვა ქლენტის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.



ტარიელ ანთიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით, გულისტკივილით იუწყება **სერგო კოროშინაძის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს, ახლობლებს.



ოთარ ანთიძე ოჯახით თანაუგრძნობს რევაზ კუტუბიძის ოჯახს ქალბატონი **იგარეტას** გარდაცვალების გამო.



ნინო ნადაშვილი თანაუგრძნობს მაიკო ნათლიას მამის **ბახვა ქლენტის** გარდაცვალების გამო.



ეთერ ჯიქია ოჯახით, გულისტკივილით თანაუგრძნობს ზურიკო, მადონა, თამრიკო ბერძენიშვილებს ძვირფასი დედის **ცაცას** გარდაცვალების გამო.



მზია კვაჭანტირაძე ოჯახით, დიდი გულისტკივილით და ღრმა მწუხარებით იუწყება საყვარელი ბიძაშვილის **სერგო (ჭიპიტო) რეზოს ძე კოროშინაძის** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის ყველა წევრს და ახლობლებს.



შვილიშვილები სოფიკო და მაიკო, სიძეები გიორგი კალანდაძე და გიორგი ჭანტურიძე, შვილთაშვილები სანდრო, დემეტრე, ელენე მწუხარებას გამოთქვემენ უსაყვარლესი ბაბუის გარდაცვალების გამო.



ვლადიმერ რამიშვილი ოჯახით, მწუხარებას გამოთქვამს მეგობრის მამის **ალექსანდრე (ალიოშა) ელიეშვილის** გარდაცვალების გამო.



გია მახარაძე ოჯახით, გულისტკივილით თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს **სერგო კოროშინაძის** გარდაცვალების გამო.



ნინო, შაქრო კუტუბიძეები თანაუგრძნობენ ლია კოროშინაძის ოჯახს ძმის **სერგო კოროშინაძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ "გურია ნიუსის" რედაქცია თანაუგრძნობს ოჯახებს და ახლობლებს _ **მიშიკო ცაგარეიშვილის, ნოე გაბუნიას, სერგო (ჭიპილო) კოროშინაძის, ნორა გერმანეს ასული ტყეშელიაძე-გეგეჭკორის** გარდაცვალების გამო.



ლამარა, ნატო, დარიკო წილოსნები თანაუგრძნობენ გურამ ბერიშვილის ოჯახს **მარადის** გარდაცვალების გამო.



გელა მგალობლიშვილი, გოჩა კუტალაძე, ვახტანგ, თემურ დუდუჩავები, ლელა თოდუა, ბადრი, თორნიკე, ბესიკ ყენიები, ეთერ გუბელიძე, მაია ხოფერია, ზურიკო, გურამ კვინტრაძეები დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უსაყვარლესი და უკეთილშობილესი ადამიანი **ლამარა შენგელია-ეზიეშვილი** და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვაჟა გიორგაძე ოჯახით იუწყება **ბახვა ქლენტის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.



მოსე და არჩილ კალანდაძეები ოჯახებით იუწყებიან **სერგო კოროშინაძის** გარდაცვალებას.



თამრიკო, მერაბ დოლიძეები, მზია, თამაზ მეფარიშვილები ოჯახებით თანაუგრძნობენ მანანა, ზურაბ ბერძენიშვილებს დედამთილისა და დედის, არაჩვეულებრივი ქალბატონის **ცაცა ბერძენიშვილის** გარდაცვალების გამო.



მარადი ვეფხვაძე ოჯახით იუწყება **ნოდარ ძნელაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს.

## უფასო განცხადებები

### იყიდება

წითელი ფერის აგური და ცეცხლგამძლე აგური. მეორადი ბლოკი.
ტელ: (551) 093076.

წყლის გამაცხელებელი, "თერმექსი", 80-ლიტრიანი, ახალი.
ტელ: (599) 247044.

წაბლის ხისგან დამზადებული 3 ცალი ახალი ფანჯარა, ჩარჩოს ზომა 1.8/1.05-ზე. ტელ: (577) 952021.

ფურცლოვანი ალუმინის ფირფიტები, 4 მ/1.20მ-ზე, 1.3 მმ-იანები. მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ. სულ 150 კვმ.
ტელ: (595) 387339, (790) 387939.

მეორადი ავეჯი, საკერავი მანქანა, საბნები, თეთრეული.
ტელ: (593) 431566.

"ზიმფერის" ფირმის ელექტრო ღუმელი, ახალი.
ჩოხატაური, ტელ: (574) 086078.

ავტოფარეხი 16 კვმ, 4/4-ზე. რკინის ფირფიტებით გაკეთებული, გამოდგება მაღაზიადაც.
ტელ: (599) 198217.

დახლმაცივარი, 2 მ. სიგრძის, ფასი 400 ლარი. ვიტრინამაცივარი, ფასი 280 ლარი.
ტელ: (577) 779224.

აკაციის ბოძები. 2 ცალი, 400-ლიტრიანი მუხის კასრი. უჟანგი მასალისგან დამზადებული სამი 300-ლიტრიანი, 2 ცალი ტონიანი კასრები და საწნახელი. ღვინო "ცოლიკაური", ჭაჭის არაყი. ნაძვის ხმელი მასალა, იატაკის და ჭერის, 6 კბმ. იაპონური წარმოების, ფაზანოლიანი, 1 კვტ-იანი გენერატორი, ახალი. არმატურა 100 მ. 28-იანი, 100 მ. 25-იანი და 50 მ. 32-იანი მილები. წისქვილი, 60-იანი ქვით, სრული კომპლექტი. უჟანგი მასალისგან დამზადებული სასიმინდე, სახერხი დანადგარი (სრულყოფილი). ტელ: (551) 328714.

ბავშვის ლოგინი, მრავალფუნქციური, სარწეველით, ლეიბით, მატრასით, 6 დიდი უჯრით, კარგ მდგომარეობაში. ფასი 300 ლარი. პიანინო "დესნა'. გერმანული ხარისხის "ლამინირებული იატაკი", 9 კვმ. ფასი 120 ლარი. 30 მ. რკინის კაპიტალური ღობე, რკინის გოფრირებული ფირფიტებით.
ტელ: (551) 086577.

გაზის გამათბობელი. რკინის ბატარეები, სხვადასხვა ზომის.
ფასი შეთანხმებით.
ტელ: (599) 776855, (557) 233896.

პიანინო "საქართველო".
კარგ მდგომარეობაში.
ტელ: (595) 536794.

ურმის თვალი, ერთი წყვილი, რკინის. 2 წყვილი ხის სახნავი _ კავით, გუთნით. წისქვილი ტაროიანი სიმინდის საფქვავი.
ტელ; (790) 482219, (577) 370024.

სახლის გარე, მოხვეული კიბე, 16-საფეხურიანი, აივნის მოჯირი, რკინის გადასახურავთან ერთად.
ტელ: (593) 287471, (595) 247471.

ბამბუკის მესერი.
ტელ: (599) 128311, (790) 310304.

ვინჩესტერი 4+1, ახალი.
ტელ: (598) 596964.

წისქვილი, კარგ მდგომარეობაში, 50-იანი ქვით. ჩვილხბოიანი ძროხა.
ტელ: (598) 397911.

აკაციის ბოძები და სარები.
ტელ: (598) 094204.

აკაციის ბოძები 4 და 4.5 მ-იანები.
ტელ: (595) 295758.

აკაციის ბოძები, 2 მ-იანები.
ტელ: (593) 177590.

წაბლის და ალვის ხის მასალა, აკაციის ბოძები და მესერი. შეშა დაპობილი და დასაპობი.
ტელ: (555) 556879.

ანტიკვარული კარადა- (გარდერობი), შესაძლებელია, სერვანდითაც.
ტელ: (557) 331328.

სასიმინდე. ტელ: (551) 483831.

500-ლიტრიანი კასრი, 30-ლიტრიანი ბოთლები, ტილოს ზეწრები.
ტელ: (593) 614111.

თივა, 1 ზვინი, შედუღების აპარატი, ფაზანოლიანი, წისქვილის ღვედი, 7 სმ. სიგანის.
ტელ: (577) 273039.

2-სართულიანი სახლი, სველი წერტილებით, 6000 კვმ. მიწის ნაკვეთით, დამხმარე ნაგებობებით, ვენახით, თხილებით გაშენებული ეზოთი, მთის მუდმივი წყლით, ჭით. ჩოხატაური, სოფ. შუა ფარცხმა.
ტელ: (599) 328153, ლილი.

ჩოხატაურის ცენტრში, 2-ოთახიანი, გარემონტებული ბინა, ბუნებრივი აირით, წყლით (სველი წერტილი აივანზე), სარდაფით (სურვილის შემთხვევაში _ ავეჯით და საყოფაცხოვრებო ტექნიკით).
ტელ: (591) 002611, (591) 333867, (568) 449982.

აკაციის მესერი, 5000 ცალი, 500 ცალი ბოძი.
ტელ: (599) 981390.

აკაციის მესერი, 2000 ცალი, ფასი 70 თეთრი.
ტელ: (551) 008174.

40 კვმ. კომერციული ფართი, ჩოხატაურში, საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე.
ტელ: (595) 948148.

ჩოხატაურში, სოფ. გოგოლესუბანში, ხის სახლი, 2-ოთახით, დამხმარე ნაგებობებით, 0.8 ჰა მიწის ნაკვეთით.
ტელ: (558) 108449.

ჩოხატაურში, სოფ. გოგოლესუბანში, 2-სართულიანი სახლი, 0.75 ჰა მიწის ნაკვეთით, თხილის და ხეხილის ბაღებით.
ტელ: (568) 612438.

ჩოხატაურის ცენტრში, დუმბაძის 21, კინოთეატრის გვერდით, 230 კვმ. მიწის ნაკვეთი.
ტელ: (514) 415353.

2-სართულიანი სახლი, 10/10-ზე, 4000 კვმ-მდე მიწის ნაკვეთი და ტყით, მანდარინის, კივის, ფეიხოას, ლიმონის, თხილის ბაღებით, ეზო რკინის მესერითაა შემოღობილი.
საწყისი ფასი 18 000 დოლარი.
ჩოხატაური, სოფ. ჩაისუბანი (სოფლის ცენტრში),
ტელ: (599) 179979.

### შოთა მეგრელიძის მოგონება



გავიდა 40 დღე შენი უდროოდ გარდაცვალებიდან. დატოვე შენი ოჯახი და ყველა ახლობელი. ყველას გვენატრები, ჩვენო შოთიკო. უფალს ვთხოვთ, ნათელში გვიმყოფოს შენი სპეტაკი სული.

*გალაქტიონ, იოსებ, რეზო, ზურაბ, ალეკო მეგრელიძეები*

---

მწუხარებაში მყოფი და მაყვალა, სიძე ბონდო ბედინეიშვილი ოჯახით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ტიტე ისიდორეს ძე ქლენტის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მეუღლეს, შვილებს.

დაკრძალვა: შაბათს, 19 III.

ოზურგეთი, სოფელი კვირიკეთი.

---



მწუხარებაში მყოფი შვილები ნუნუ, ვახტანგი, რძლები ნანი, ცისია, და ლამარა, მაზლი სოსო, შვილიშვილები ელენე, დათო, რომა, დისშვილები, ძმისშვილები, მაზლისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნორა გერმანეს ასული ტყეშელიაძე-გეგეჭკორი.**

პანაშვიდი: პარასკევს, 18 III, 17 საათზე.

დაკრძალვა: შაბათს, 19 III, 15 საათზე.

ჩოხატაური, სოფელი ვაზიანი.

---

გაიოზ მგალობლიშვილის ოჯახი იუწყება

**ამროსი მეფარიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს შვილებს, შვილიშვილებს, ოჯახის ახლობლებს.

---



თემურ ლორია ოჯახით იუწყება

**სერგო კოროშინაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, დედმამიშვილებს, ახლობლებს.

---



ჩოხატაურის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია კოროშინაძეს ძმის

**სერგო კოროშინაძის**

გარდაცვალების გამო.

---



ბაბუ, დიდი დანაკლისი ხარ ჩვენთვის. უზომოდ განვიცდით. შენი დანატოვარი შენი გზით ვივლით, რომელსაც კარგი კაცობა ჰქვია. გვემაყები. არ დაგივიწყებთ.

*ნატო, ინგა, ბახვა*

---



მერაბ ხუნდაძე ოჯახით თანაუგრძნობს მაიკო ქლენტს ბატონი

**ბახვას**

გარდაცვალების გამო.

---

მზია და ვარდო ანდღულაძეები თანაუგრძნობენ ნატო ჩანტლაძეს და რომან ცაგარეიშვილის ოჯახს

**მიშიკო ცაგარეიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---



მალხაზ (ევტიხი) კაკურია ოჯახით თანაუგრძნობს მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, ოჯახის ყველა ახლობელს რაიონის კოლორიტი ადამიანის, კაცური კაცის, ბატონი

**ბახვა ქლენტის**

გარდაცვალების გამო.

---

### თამაზ ტრაპაიძის მონატრება



18 მარტი შენი დაბადების დღეა. ბავშვივით გიხაროდა ამ დღის მოსვლა. წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე უსაზღვრო ტკივილი და მონატრება. სასუფეველში გილოცავთ დაბადების დღეს. იძინე მშვიდად შენს მამასთან და ახლობლებთან ერთად. შენს სახელს დავიწყება არ უწერია. ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი სპეტაკი სული.

*ოჯახი*

---



მწუხარებაში მყოფი მეუღლე გუგული, შვილები მარინა, თამაზი, რამინი, და ცისანა, ძმა შოთა, ცოლისდები თინა, ვერიკო, სიძეები ტარიელ კობალაძე, მალხაზ გვიანიძე, რძლები თამარი, ნათელა, ანნა, შვილიშვილები მაკა, გიორგი, ზვიად, ბექა მეფარიშვილები, ლელა, ლევან კობალაძეები, შვილთაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან

**ამროსი გიორგის ძე მაფარიშვილის**

გარდაცვალებასა.

პანაშვიდი: პარასკევს, 18 III.

დაკრძალვა, შაბათს, 19 III.

ჩოხატაური, სოფელი ზემოერკეთი (შუბანი).

---

ამირან მეგრელიშვილის ოჯახი იუწყება

**ნინა ჩხიკვაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

---



ნუკრი ცინცაძე ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს უახლოესი მეზობლის, განათლებული პიროვნების

**ბახვა ქლენტის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ოჯახს.

---



ანზორ გუბელიძე ოჯახით თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს

**კობა კალანდაძის**

გარდაცვალების გამო.

---



ქეთინო კალანდაძე, გოჩა გუბელიძე ოჯახით იუწყება

**სერგო კოროშინაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მთელ ოჯახს.

---



კაკო ჯიბუტი ოჯახით თანაუგრძნობს ტარიელ და ამირან ძნელაძეების ოჯახებს

**ნოდარის**

გარდაცვალების გამო.

---



ნაბეღლავის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება

**სერგო (ჭიპილო) კოროშინაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს.

---



რევაზ დოლიძე ოჯახით, გულისტკივილით იუწყება

**სერგო კოროშინაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მშობლებს, მეუღლეს, შვილებს, დედმამიშვილებს და ახლობლებს.

---



ანზორ მგალობლიშვილი, და ლია კოროშინაძე, სიძეები ზურიკო მგალობლიშვილი, ზვიად უნგიაძე, დისშვილები ლალი, ბელა, თამთა, მარი იუწყებიან და ღრმა მწუხარებით დასტირიან ოჯახის უსაყვარლესი და უძვირფასესი პიროვნების

**სერგო (ჭიპილო) კოროშინაძის**

გარდაცვალებას.

---

### ეთერ გიორგაძე



დარდითა და სევდით გაიარა ამ ერთმა წელმა ჩვენო ძვირფასო დედა. უკვე დაოჯახებულ შენს შვილებს დედისეული სითბო და მზრუნველობა მოგვაკლდა, რომელიც ჰაერივით გჭირდებოდა, რადგან ეს გრძნობა განუმეორებელია, სიყვარული კი უსაზღვრო, რომელსაც ყველას უნაწილებდი. გვეამაყება, რომ ღირსეულად განვლე შენი ცხოვრება. კარგი მეუღლე, დედა და ბებია იყავი. მომგონებელი არასოდეს მოგაკლდება. შენს საფლავზე გამუდმებით იხარებს იაიები. ღმერთს ებარებოდე, ჩვენო მოამაგე დედა.

*შვილები*

---



ნაბეღლავის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს სოფიკო ძნელაძეს ბაბუის

**ნოდარ ძნელაძის**

გარდაცვალების გამო.

---



ჯუმბერ ბოლქვაძე ოჯახით იუწყება

**ვალდიმერ (ვილენი) მახარაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---



მარლენ დოლიძე ოჯახით თანაუგრძნობს ამირან, ნინო ძნელაძეებს მამისა და მამამთილის

**ნოდარის**

გარდაცვალების გამო.

---



რამაზ ბერძენიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს მეუღლე ლამარას, შვილებს, ყველა ახლობელს საყვარელი კაცის

**ბახვა ქლენტის**

გარდაცვალების გამო.

---

VI-2 კლასის მოსწავლეები სამძმარს უცხადებენ პედაგოგ თამარ ბერძენიშვილს დედის გარდაცვალების გამო.

---



რუსიკო, ლეილა, როსტომ, იასონ, ნათია, მაკა ტრაპაიძეები ოჯახებით იუწყებიან საყვარელი პიროვნების, მამიდაშვილის

**რობიზონ არაბულის**

გარდაცვალებას.

---

ვლადიმერ რამიშვილი ოჯახით, მწუხარებას გამოთქვამს

**ბახვა ქლენტის**

გარდაცვალების გამო.

---

### დათო გურიელიძის მოგონება



2 წელი სრულდება 21 მარტს, რაც ჩვენგან წახვედი, უსაზღვრო მონატრება და გულისტკივილი დაგვიტოვე. შენ ხომ შენი ხანმოკლე სიცოცხლე კაცურად გაატარე. გინდოდა, შენი შვილების ბედნიერებას მოსწრებოდი, მაგრამ არ დაგცალდა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, სანთლებით და ყვავილებით მოვიდეთ შენს საფლავზე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*ოჯახი*

---

### ვენერა ტონია



40 წელზე მეტი გაატარე ჩვენთან. ზღვა სითბო, სიყვარული და პატივისცემა დააგროვე, ამიტომაც სიტყვა ორმოცი დღე, ძალზე მტკივნეულია. ის ხომ ზეციურ საქართველოში გარდასვლას გულისხმობს. დაე, სანთელ-საკმეველი მუდამ გინათებდეს იმქვეყნიურ გზას.

*კოლეგები*

---



მწუხარებაში მყოფი შვილები ელგუჯა, ნარგიზი, თამრიკო, სიძეები დათო გურგენიძე, თამაზ ბაზიარი, მამუკა ცინცაძე, დათო ბაციკაძე, ირაკლი გიგიბერია, შვილიშვილები ნინო, სოფიკო, თიკო, ციალა, ქეთინო, ნუნუკა, მანანა, გიორგი, შვილთაშვილები დათო, ვანო, ნათია, მარი, ანი, უახლოესები, დისშვილები, ძმისშვილები თავიანთი ოჯახებით იუწყებიან

**ნოე გაბუნიას**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: შაბათს, 19 III.

ჩოხატაური, სოფელი ვან-ზომლეთი (ვანი).

---



ილო კეკეკლიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ნინა და რეზო კოროშინაძეების ოჯახს უსაყვარლესი, კაცურკაცობისა და კეთილშობილების ეტალონის

**სერგოს (ჭიპილო)**

გარდაცვალების გამო.

ილო კეკელიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ლია და ზურიკო მგალობლიშვილებს უსაყვარლესი ძმისა და ცოლისძმის

**სერგოს (ჭიპილო)**

გარდაცვალების გამო.

---

ერკეთის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ რომან ცაგარეიშვილის ოჯახს ძმის

**მიშიკოს**

გარდაცვალების გამო.

---

ზაურ კეკელიძე ოჯახით იუწყება მძახლის, შესანიშნავი ქალბატონის

**ელენა კომლაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს.

---

გია მახარაძე ოჯახით თანაუგრძნობს ვახო გეგეჭკორის ოჯახს დედის გარდაცვალების გამო.

---

### გიორგი ნინიძის გახსენება



40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც წახვედი ჩვენგან, გიორგი. დაგვიტოვე მთელ კუთხეს ცრემლი და დარდი. უფალმა დაგიმკვიდროს ბინა მარადიულ სასუფეველში და ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შენი უახლოესი მეზობლები.*

---

### მარადი ბერიშვილის მონატრება



40 დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ყველას გული დაგვწყვიტე, ყველაზე მეტად შენმა ძმამ განიცადა შენი სიკვდილი. 16 მარტს 70 წლის გახდებოდი, ემზადებოდი დაბადების დღისთვის, მაგრამ არ დაგცალდა. ჩვენ უშენოდ აღვნიშნავთ დაბადების დღეს. მოვალთ შენს საფლავთან და აგინთებთ სანთლებს. ყველას ძალიან გვენატრები და გვენანები.

*ოჯახი*

---



შვილი ნარგიზ გაბუნია, სიძე თამაზ ბაზიარი, მძახალი თინა მგელაძე შვილებით, შვილიშვილებით მწუხარებით იუწყებიან

**ნოე გაბუნიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

---



მერაბ ხუნდაძე ოჯახით თანაუგრძნობს ზურიკო ბერძენიშვილის ოჯახს ქალბატონი

**ცაცას**

გარდაცვალების გამო.

---

იზო რამიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს მულისშვილს ზოია ანთიძეს მეუღლის, ოჯახს და ახლობლებს

**ხუტია კოროშინაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვაჟა გიორგაძე ოჯახით იუწყება

**ნინა ჩხიკვაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

---

"გურია ნიუსის" რედაქცია იუწყება

**გია ფირცხალაიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს.

---



იური (ბაზუნა) კოტრიკაძე ოჯახით იუწყება

**ბახვა ქლენტის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს.

---



დათო კუტუბიძე ოჯახით, დიდი გულისტკივილით იუწყება ღვაწლმოსილი ქალბატონის

**ცაცა ბერძენიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს შვილებს, შვილიშვილებს და მათ ოჯახებს.


## უმაღლესი ხარისხის ფოტოების ბეჭდვა

უახლესი ციფრული ტექნოლოგიით შეგვიძლია, გადაგიღოთ, დაგისკანეროთ, აღგიდგინოთ და ამოგიბეჭდოთ უმაღლესი ხარისხის ფოტოსურათები.




**ჩოხატაური, დუმბაძის 25.**
**გაზეთ "გურია ნიუსის" ჩოხატაურის ოფისი,**
**I სართული, საკანცელარიო მაღაზია**

# წაგების გემო ესპანური ინტონაციით

გოჩა ჯანაშია
გურია ნიუსი

**მას შემდეგ, რაც "გურიამ" ახალი მწვრთნელით და ახალი გუნდით დაიწყო საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე წრე, წაგების გემო ნაგემი არ ჰქონდა. და, აი, ეს მომენტიც დადგა. წაგება საკმაოდ მტკივნეული გამოდგა _ თბილისის "საბურთალომ" ყველა კომპონენტში დაჯაბნა მეტოქე და დიდი ანგარიშით მოგებისთვის წამები დააკლდა.**



"საბურთალო" წინა ტურში სამტრედიაში შერცხვა _ იქაურ გუნდთან 2:8 დამარცხდა. ამ სირცხვილის შემდეგ კლუბის მესვეურებმა მწვრთნელი სასწრაფოდ შეცვალეს და **ესპანელ სპეციალისტს პაბლო ფრანკო მარტინს** უხმეს. მანაც კარგად დაგეშა ახალი შეგირდები და შედეგმაც არ დააყოვნა.

საგულისხმოა, რომ "გურიამ" პირველი ტაიმი ასე თუ ისე გაძლო, მაგრამ, ლამის, გასახდელში მიმავალმა გაუშვა დასანანი გოლი _ ბოლო წუთზე ხარაიშვილმა ანგარიში გახსნა. საერთოდ ამ ახალგაზრდა ფორვარდმა ამ გოლს კიდევ ორიც მოაყოლა და ჰეთთრიკი გაჩარხა.

სტუმართათვის ცივი შხაპის ეფექტი გამოდგა მეორე გოლი, რომელიც შესვენებიდან ოთხიოდ წუთში გავიდა და ხარაიშვილმა ამ ჯერზე პენალტით იხეირა. ერთი გაბრძოლება გაიბრძოლეს დემიდოვის შეგირდებმა და ზაზულიამ 65-ე წუთზე ანგარიში მინიმუმამდე დაიყვანა, მაგრამ ხარაიშვილი ასე არ ფიქრობდა და ორიოდ წუთში სტატუსქვო აღადგინა.

მალე ამას კიდევ ერთი გოლიც მოყვა და ხორხელმა ყველა შეკითხვას წერტილი დაუსვა. ეგ არის მხოლოდ, რომ სულ ბოლოს მოროზენკომ ანგარიშს ოდნავ სოლიდურობა შეჰმატა და დიდი ანგარიშის სტატუსი გააუქმა.

აღსანიშნავია, რომ ცნობილი საბუკმეიკერო კანტორებიდან, ეს შეხვედრა მხოლოდ bet365-მა შეიტანა სათამაშო ნუსხაში და მცირედი უპირატესობა "გურიას" მიანიჭა, მაგრამ შედეგი ისეთი იყო, "გატეხვას" რომ ეძახიან აზარტული მოთამაშეები.

ტურის სხვა შედეგები ასეთია:
საპოვნელა-შუქურა _ 2:0; მერანი-სამტრედია _ 2:3; ბათუმი-ცხინვალი _ 2:0; კოლხეთი-ტორპედო _ 2:0; ზუგდიდი-დინამო _ 2:3; დილა-ჩიხურა 1:1.

# ჩემპიონატის I ლიგა

*(გურია ნიუსი, ჩოხატაური)* _ 13 მარტს, ფოთში დასრულდა საქართველოს 8-10-12 წლის მოჭადრაკეთა ჩემპიონატის I ლიგის ბოლო ტური.

ჩოხატაურელ მოჭადრაკეთა საბოლოო მონაგარი ასეთია:

12-წლიან ბიჭებში ლუკამ ქორიძე 5 ქულა მოაგროვა და მე-11 ადგილი დაიკავა. 8-წლიან ბიჭებში საბა ბოლქვაძემ 5 ქულა მოაგროვა და მე-9 ადგილი დაიკავა, ბიჭების შედეგების მიხედით ის ათეულშია. რაც ახალბედა მოჭადრაკისათვის ცუდი შედეგი ნამდვილად არ არის.

10-წლიან ბიჭებში ნიკოლოზ კალანდაძემ 4 ქულა მოაგროვა და მე-18 ადგილი დაიკავა. ქორიძე გიორგი 1 ქულით 27 ადგილი დაიკავა (ეს მათი პირველი ტურნირი იყო).

მაისში საქართველოს პირველობის მოსაპოვებლად იბრძოლებენ ლუკა ქორიძე და საბა ბოლქვაძე (მწვრთნელები: ნუგზარ მგელაძე, გივი ქორიძე, ზურაბ კობიძე).



# მოჭიდავეებმა ევროპაში ივარგეს

გოჩა ჯანაშია
გურია ნიუსი

**რამდენიმე დღის წინ, ლატვიის დედაქალაქ რიგაში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობაში, სადაც საქართველოს ნაკრები გუნდის მოჭიდავეებმა საკმაოდ წარმატებულად იასპარეზეს.**




ჩემპიონატის განრიგით პირველად თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს დაეთმოთ ასპარეზი და საბოლოოდ, ისე მოხდა, რომ ქართველმა მოჭიდავეებმა ორი ოქროს, ერთი ვერცხლის და სამი ბრინჯაოს მედალი მოინადირეს, ხოლო გუნდურ ჩათვლაში პირველობა არავის დაუთმეს.

ოქროს მედლის მოპოვება პირველმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა შეძლო. ის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის სტატუსით კი სარგებლობდა, მაგრამ ამ შეჯიბრზე უფრო მძიმე, 61 კგ. წონაში იჭიდავა და აქაც უკონკურენტო იყო. ვლადიმერს ნახევარფინალში ამ წონის უძლიერეს ფალავანთან, აზერბაიჯანელ ჰაჯი ალიევთან გადახდა შედარებით მძიმე ბრძოლა, თუმცა ნაადრევ ფინალად მონათლულ ამ ორთაბრძოლაში, ქართველი შეუჩერებელი იყო და გადამწყვეტ ბრძოლაში ბელორუსი მეტოქის ძლევა ფორმალობაღა გამოდგა.

მეორე ოქრო რევაზ მინდორაშვილის შეგირდებიდან მძიმეწონოსან გენო პეტრიაშვილს ერგო. ეს ბიჭი ახალგაზრდებში დაუმარცხებელი იყო და აგერ, კლასი დიდებშიც წარმოაჩინა და სავსებით დამსახურებულად გახდა ჩემპიონი. მან ფინალამდე ყველა მეტოქე დაჩაგრა და არც იქ შეურცხვენია თავი. ყველაფერი ორწუთნახევარში მორჩა, როცა პოლონელ ბარანს 11 ქულა აართვა და წმინდა გამარჯვებით გაგვახარა.

ფინალი დათმო მხოლოდ დავით ტლაშაძემ, რომელიც 70 კგ. წონაში გამოდიოდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. რაც შეეხება ბრინჯაოს სინჯის მედალს, მისი მფლობელები გახდნენ: იაკობ მაქარაშვილი (74 კგ), დავით მარსაგიშვილი (86 კგ) და ელიზბარ ოდიკაძე (97კგ).

შედარებით მოკრძალებული გამოდგა "ბერძენ-რომაელთა" გამოსვლა, თუმცა, წარუმატებელი არც ამ შედეგს ეთქმოდა. აქ მხოლოდ ერთი ჩემპიონი გვყავს, ზურაბ დათუნაშვილის სახით. ზურაბმა 75 კგ. წონაში ხუთი ბრძოლა გადაიტანა და ყველა გამარჯვებით დაასრულა. მას განსაკუთრებით მეორე და საფინალო ბრძოლებში გაუჭირდა. ჯერ თურქ ემრე კუშთან ბოლო წამზე აღებული ქულით აჯობა (ორთაბრძოლა 3:3 მორჩა), ხოლო ფინალში სერბ ვიქტორ ნემეცთან 2 ქულას აგებდა, მაგრამ სირენამდე ნახევარი წუთით ადრე გააყაიმა, რაც საჩემპიონოდ საკმარისი გამოდგა.

თითო-თითო სხვა სინჯის მედალიც ირგუნეს ბეგი დარჩიას დამოძღვრილებმა. პირველ დღეს შმაგი ბოლქვაძემ (66 კგ.) მოიპოვა მესამე ადგილი, ხოლო დასკვნით დღეს ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა რობერტ ქობლიაშვილს, რომელმაც 85 კგ. წონის კატეგორიაში, უკრაინელ ფერადკანიან ფალავანს, ჟან ბელენიუკს ვერაფერი დაუპირისპირა.

## მილოცვები

ბატონ **ვიქტორ მახარაძეს** და ქალბატონ **მერი სიხარულიძეს** გილოცავთ 80 წლის იუბილეს. ღმერთმა მრავალი ლამაზი და ბედნიერი დღე გაგითენოთ თქვენს საყვარელ ადამიანებთან ერთად.

*პატივისცემით, "ნიუსელები"*

**ირმა ცენტერაძეს!**

დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, ღვთის წყალობას გისურვებ შენს ქმარ-შვილში. გვიყვარხარ და გვეიმედები.

*დათუნა და ლია*

ქალბატონ
**ამალია სიხარულიძეს**
გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ლამაზ დღეთა სიმრავლეს.

*სიყვარულით, "ნიუსელები"*

მარტში დაბადებულებს, ჩვენს ერთგულ მეგობრებს
**ვალენტინა ელიეშვილს, გუგული ჩანტლაძეს და ლაშა ცენტერაძეს!**
დიდი პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღებს. ჯანმრთელობას, სიხარულს და სიკეთეს გისურვებთ.

*სიყვარულით, "ნიუსელები"*

## მადლობა

სოფელ ხევში სტიქიამ დაგვიზიანა საუბნო გზა. დახმარებისთვის მივმართეთ მუნიციპალიტეტის გამგეობას. მადლობას ვუხდით გამგებელს, ბატონ **ირაკლი კუჭავას**, საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ **ზაალ მამალაძეს**, რწმუნებულს **ზურაბ ვაჩეიშვილს.**

*უბნის სახელით, გ. ლომთათიძე*

# "უმცროსი ბორჯღალოსნები" რუმინეთთან მატჩით იწყებენ

18 მარტს, პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატი დაიწყება. "უმცროსი ბორჯღალოსნები", რომლებიც ამ ტურნირის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონები არიან, პირველ მატჩს რუმინელ თანატოლებთან გამართავენ. შეჯიბრების დაწყებამდე ჩვენმა გუნდმა საფრანგეთის ქალაქ კლერმონში გაიარა შეკრება, სადაც სამწვრთნელო შტაბმა ნაკრების საბოლოო შემადგენლობა დაასახელა. რუმინელებთან გამარჯვების შემთხვევაში ნახევარფინალში პორტუგალიასა და გერმანიას შორის გამარჯვებულს დავუპირისპირდებით.

საქართველო:
პირველი ხაზი: გურამ გოგიჩაიშვილი, ჯემალ შათირიშვილი (ლოკომოტივი), გიორგი ნუცუბიძე (ჯიქი), ლუკა აზარაშვილი, თენგიზ ზამთარაძე, ლევან პაპიძე (სამივე-ლელო)
მეორე ხაზი: გიგა გრიგალაშვილი (ლელო), ლაშა ჯაიანი (ვითგიფთ), არსენ მაჩალაძე (აია)
მესამე ხაზი: თენგიზ გიგოლაშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი (ორივე-თიბიეს), სანდრო კალმახელიძე (არმია), ბექა საღინაძე (ლელო), თორნიკე ჯალაღონია (ხულიგანა)
#9: ელგუჯა კიკვაძე (აია), იოსებ ხეტაშვილი, გელა აფრასიძე (ორივე-ლელო)
#10: საბა ხურცილავა (ლელო)
#12-13: გიორგი წიკლაური (ჯიქი), სანდრო სვანიძე (არმაზი), ლუკა მარგიანი (აკადემია), კოტე ხამაშურიძე (ლომები),
#11-14: ივანე კალანდაძე (ლელო), არდაშ დარბოევი (არმია)
#15: გიორგი ნარიმანიძე (ხარები), ბექა მამუკაშვილი (ლელო)

ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატი
მეოთხედფინალი
**საფრანგეთი-ესპანეთი**
**საქართველო-რუმინეთი**
**პორტუგალია-გერმანია**
რუსეთი-ბელგია

*sportall.ge*

## ამინდის პროგნოზი გურიაში




თემო ჩოგაძე
8 წლის




ლიზი ანთაძე
8 წლის




მარი ცქნქერაძე
8 წლის




ვაჟიკო მეგრელიძე
8 წლის

გურიის ახალგაზრდული გაზეთი

№ 8

17 მარტი, 2016 წელი

# ეფექტური თანამშრომლობა კლუბის სამომავლო მდგრადობისთვის



გურიანთის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბმა "თავისუფალი არჩევანი" სკოლის ადმინისტრაციასთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან და თემთან თანამშრომლობით სკოლის ეზოში ფეიჰოას ბაღი გააშენა.

ფეიჰოას ბაღის გაშენება მოსწავლეებმა სამოქალაქო კლუბის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით გადაწყვიტეს.

**ანი ქავჟარაძე, სამოქალაქო კლუბის წევრი:** *"როცა პროგრამა "მომავლის თაობა"დასრულდება, ჩვენ პროგრამისგან აღარ გვექნება ისეთი დამხმარე რესურსები, როგორიცაა: საკანცელარიო მასალა, ტრანსპორტირების ხარჯები სასწავლო დაწესებულებებში ვიზიტისა თუ საინტერესო სტუმრების მოწვევისთვის. ამიტომაც, გადავწყვიტეთ, კლუბის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით მოგვეფიქრებინა ისეთი რამ, რითიც შევძლებდით არსებობის გაგრძელებას პროგრამის დასრულების შემდეგაც. კლუბის სამუშაო შეხვედრაზე ვიმსჯელეთ და კარგ საშუალებად მივიჩნიეთ შემოსავლიანი კულტურის გაშენება სკოლის ტერიტორიაზე".*

იმის გამოსავლენად, თუ კონკრეტულად რომელი შემოსავლიანი კულტურა გაეშენებინათ, მოსწავლეებმა კონსულტაციებისთვის მიმართეს პედაგოგებს, რომლებმაც ადგილობრივი გარემო პირობებისა და მოვლა-გახარების სიმარტივის გათვალისწინებით, ახალგაზრდებს ურჩიეს ფეიჰოას ბაღის გაშენება. ერთი ძირი ფეიჰოა 40-50 კილოგრამს ისხამს, ხოლო ნაყოფს, დარგვიდან მესამე წელს იძლევა, შესაბამისად, კლუბის მდგრადობისთვის კარგი რესურსია.

საჭირო იყო ფეიჰოას ნერგების მოპოვება, რომელიც საკმაოდ ძვირადღირებულია (ფასი _15 ლარი). მხარდაჭერისთვის კლუბის წევრებმა მიმართეს გურიანთის ტერიტორიული ორგანოს გამგებლის წარმომადგენელს კონსტანტინე ჩიკაშუას, რომელმაც მოსწავლეებს უშუამდგომლა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის მთავარ სპეციალისტთან აკაკი ღლონტთან. მას თავად აქვს ფეიჰოას პლანტაცია და სანერგე. ბატონი აკაკი მიესალმა მოსწავლეების ასეთ ინიციატივას, სიამოვნებით ითანამშრომლა მათთან და გადასცა 12 ძირი ფეიჰოა სამოქალაქო კლუბს. მოსწავლეებთან საუბარში მან დაადასტურა, რომ ფეიჰოას გახარება და მოვლა-პატრონობა მართლაც შესაძლებელია სკოლისა და მოსწავლეების რესურსებით.

ნერგების მოპოვების პარალელურად კლუბმა ითანამშრომლა სკოლის დირექციასთან და ადგილობრივ თემთან. სკოლის დირექციამ სკოლის ეზოს ერთ ნაწილში გამოყო დაცული, შემოსაზღვრული ტერიტორია ნერგებისთვის, ხოლო ადგილობრივი თემის წარმომადგენლები მოხალისეობრივად ჩაერთნენ ნერგების დარგვის პროცესში და ახალგაზრდები უზრუნველყვეს სამუშაო იარაღებით.

სამოქალაქო განათლების პედაგოგმა, ლიზა ლომჯარიამ მოსწავლეებს ჩაუტარა მცირე სემინარი ფეიჰოას თვისებებზე, მოსავლიანობაზე, გააცნო კონკრეტული რჩევები, თუ როგორ უნდა შევურჩიოთ და მოვუმზადოთ ნიადაგი, რა დაშორებით დავრგოთ, როგორ მოვუაროთ ნერგს და ა.შ.

აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, 9 მარტს, სამოქალაქო კლუბის წევრი უფროსების მონაწილეობით გააშენეს ფეიჰოას ბაღი, რომელიც 2-3 წლის შემდეგ გამოიღებს ნაყოფს და შექმნის კარგ რესურსს საკლუბო საქმიანობის მდგრადობისთვის. მოსწავლეები, ასევე, გეგმავენ კონკურსის გამოცხადებას სკოლის ეზოს დიზაინზე მისი კეთლმოწყობისა და გალამაზების მიზნით.

ინიციატივაში ჩაერთვნენ კლუბის წევრები, პედაგოგები, ტერიტორიული ორგანოსა და თემის წარმომადგენლები.

# თავშესაფარში მცხოვრები ბავშვებისთვის სპორტული მოედანი კეთდება



***(21-ს ქვევით)*** _ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი სამშობიაროს ახალგარემონტებული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ე.წ. უსახლკარო ადამიანები არიან შესახლებულები, სპორტული მოედნის კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. მოედნის მოწყობაში ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფის აქტიურად არიან ჩართულები.

"უახლოეს პერიოდში თავშესაფარში *მცხოვრებ ბავშვებს საშუალება მიეცემათ, ცხოვრების ჯანსაღი წესით იცხოვრონ და სხვადასხვა სპორტული აქტივობით დაკავდნენ. მიმდინარეობს ეზოსა და სპორტული მოედნის მოწესრიგება"*, _ აღნიშნა ქალაქის მერის მოადგილემ, კობა დუნდუამ. ყოფილი სამშობიაროს შენობაში ახალგარემონტებული საცხოვრებელი ფართი, ე.წ. უსახლკარო მოქალაქეებს ქალაქის მერიამ ახალ წელს გადასცა. აღნიშნულ შენობაში ყველა საჭირო პირობით უზრუნველყოფილი ფართი 51-მა მოქალაქემ მიიღო.

# ინტელექტთამაშების ჩემპიონატის გამარჯვებული ვაკიჯვრის სკოლა გახდა

გიორგი გირკელიძე

ინტელექტთამაშების ჩემპიონატის გაზაფხულის სეზონის გამარჯვებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაკიჯვრის საჯარო სკოლის გუნდი "ტოლსტოევსკი" გახდა.

ინტელექტთამაშების ფინალურ ეტაპზე ოთხი საუკეთესო გუნდი გადავიდა: ვაკიჯვრის "ტოლსტოევსკი", ასკანის "ლოგოსი 2", შემოქმედის "ლოგოსი" და ქვემო ნატანების გუნდი "ჯეოკლასიკი".

საფინალო შეხვედრა დღეს ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის კაფე "რვას+1-ში" გაიმართა. გამარჯვებულებს სპეციალური პრიზები და საჩუქრები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დირექტორმა **ავთანდილ სირბილაშვილმა,** ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა **ლელა იმედაშვილმა** და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამეობის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსმა **ხათუნა ჯაბუამ** გადასცეს.

ინტელექტთამაშების ორგანიზატორია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის ახალგაზრდული განყოფილება.







# რიცხვის და მოსწავლეთა დაბადების დღე მეორე საჯარო სკოლაში

მარინა ჩიხლაძე



გასულ ორშაბათს, დილიდან ოზურგეთს მეორე საჯარო სკოლაში უჩვეულო განწყობა სუფევდა _ მათემატიკის მასწავლებლის, ირმა ჭეფხოძის ინიციატივით, ჩატარდა ღონისძიება, რომელიც $\pi$ (პი) რიცხვის ($\pi$=3,14159) მსოფლიო დღეს _ 14 მარტს და ამავე დღეს დაბადებულ მოსწავლეებს მიეძღვნა. ვიკიპედიის მიხედვით, $\pi$ არის ნამდვილი ტრანსცენდენტური (და ამიტომ ირაციონალური) რიცხვი, რომელიც დაახლოებით 3.14159-ს უდრის და წრეწირის სიგრძის მის დიამეტრთან შეფარდების ტოლია.

პედაგოგის ორიგინალური მიდგომა _ რიცხვის მსოფლიო დღეს დაბადებულ მოსწავლეთათვის, მეშვიდეკლასელთა სახით, ფეხადგმულ "$\pi$"-ს მიელოცა იუბილე, მთელი სკოლის აღფრთოვანება გამოიწვია.

*"მოხარული ვარ, რომ დღეს ჩემი და შენი დაბადების დღეა. მე მსოფლიო მათემატიკურ საზოგადოებაში სახელი იმით გავითქვი, რომ მუდმივი სიდიდე ვარ, თუმცა, ბოლომდე მაინც არ ვარ გახსნილი. შენ კიდევ ბევრი რამ არ იცი ჩემ შესახებ, მაგრამ ვიმედოვნებ, ბევრს იმეცადინებ, ბეჯითად ისწავლი და გამიხსნებ მე... ჩემს მილოცვას და სიურპრიზს გადმოგცემენ ჩემი დესპანები მეშვიდე კლასიდან. დიდი სიყვარულით, $\pi$ რიცხვი"* _ ამ სიტყვებით მიმართა კლასიდან კლასში მოარულმა იმპროვიზებულმა "$\pi$" იმ ყველა იმ მოსწავლეს, ვინც 14 მარტს არის დაბადებული.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მაია ღლონტმა "გურია ნიუსთან" აღნიშნა, რომ ეს იყო მეტად ორიგინალური ფლეშმობი, რამაც ერთნაირად გაახარა, როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლები და კიდევ ერთხელ გამოაჩინა ნიჭიერი, შემოქმედი მასწავლებლის, ირმა ჭეფხოძის სახე.

# საუბარი საქართველოს ევროპულ მომავალზე

***(21-ს ქვევით)*** _ საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების მნიშვნელობაზე, უსაფრთხოების პრიორიტეტებზე, საქართველოს ევროპული მომავალსა და ახალგაზრდებისთვის შექმნილ ახალ შესაძლებლობებზე ქალაქ ოზურგეთის #1 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეებს გასულ სამშაბათს სსიპ "ნატოსა და ევროკავშირის შესახებ **საინფორმაციო ცენტრის" გურიის ბიუროს წარმომადგენელი ნიო ვაშალომიძე** ესაუბრა.

საკითხის პრიორიტეტულობიდან და აქტუალურობიდან გამომდინარე მოსწავლეებმა ევროკავშირთან უმიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

შეხვედრაზე განიხლეს ანტიდასავლური მითები, რომლებიც ევროინტეგრაციის პროცესის გარშემო ვრცელდება.

*_ სსიპ "ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის გურიის ბიურო საინფორმაციო ტიპის შეხვედრებს ინტენსიურად ახორციელებს, როგორც საჯარო სკოლების მოსწავლეებთან, ასევე, მოსახლეობასთან, სხვადასხვა სფეროს და სამსახურის წარმომადგენლებთან. აღნიშნული შეხვედრების მიზანი გახლავთ ის, რომ ჩვენს რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით მიმდინარე პროცესებზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შეხვედრები დისკუსიის რეჟიმში მიმდინარეობს და მოსახლეობის ინტერესები ამ კუთხით დიდია,* _ აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ნინო ვაშალომიძემ.



# კონცერტი ამერიკელი ფოლკლორისტების და ადგილობრივების მონაწილეობით

***(21-ს ქვევით)*** _ 14 მარტს, დაბა ურეკის კულტურის სახლში ამერიკელი ფოლკლორისტებისა და ადგილობრივი ანსამბლების ერთობლივი კონცერტი გაიმართა. ანსამბლი "ჩრდილოეთის ჰარმონია", ქვეყნის მასშტაბით, ტურნეს აწყობს. ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი ამერიკელი მომღერლები, გარდა ქართულისა, ძველ ამერიკულ, ალბანურ და კორსიკულ სიმღერებს ასრულებენ. კონცერტში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები: "იადონი," "ელესა," მგალობელთა გუნდი "შემოქმედი," ტრიო "ხელხვავი" და ანსამბლი "ურეკი". ღონისძიება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის, ასევე, ოზურგეთის კულტურის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა.





კონკურსები

## ყოფილ მიგრანტთა ისტორიები

საქართველოში მცხოვრებ ყოფილ და პოტენციურ მიგრანტთა საგანმანათლებლო და ბიზნეს საქმიანობების ხელშემწყობი პროექტის ფარგლებში (პროექტს ახორციელებს გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ოფისთან და ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბთან პარტნიორობით), ცხადდება კონკურსი მოზარდებისთვის, რომლის მიზანია, გურიის რეგიონის თემებში ყოფილ მიგრანტთა ისტორიების მოძიება-შეგროვება. ისტორია უნდა მოიცავდეს ყოფილი მიგრანტის მიგრაციაში ყოფნის დროს გადამხდარ რაიმე კონკრეტულ ამბავს, ფაქტს, რომლის გაზიარებაც სასარგებლო იქნება აუდიტორიისთვის. ამბავი უნდა ეფუძნებოდეს რეალურ ფაქტებს ანუ უნდა იყოს ნამდვილი. თხრობის დროს არ უნდა მიეთითოს კონკრეტული პიროვნების სახელი და გვარი და არც რაიმე სახის მინიშნება, რომელიც შესაძლებელს გახდის პიროვნების იდენტიფიცირებას. ერთ მოზარდს შეუძლია რამდენიმე ისტორიის წარმოდგენაც. საინტერესო ისტორიის მომძიებელი მოზარდები დაჯილდოვდებიან სიმბოლური პრიზებით, ხოლო თავად ისტორიებზე დაფუძნებით მომზადდება ვიდეო-რგოლები და ასევე, გამოიცემა ბროშურა. ისტორიების წარმოდგენის ბოლო ვადა არის 25 მარტი. ისტორიების წარმოდგენა შეიძლება როგორც ელექტრონული, ასევე, ნაბეჭდი სახით შემდეგ მისამართზე:

გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი;
ოზურგეთი, რუსთაველის ქ. #4, მეორე სართული;
ელ. ფოსტა: gyrc.info@gmail.com

**გაგვიზიარეთ თქვენი შთაბეჭდილებები, მოგვიყევით წარმატებული ახალგაზრდების შესახებ, მოგვწერეთ, რა თემაზე გსურთ სტატიების წაკითხვა – ერთად ვაკეთოთ გურიის ახალგაზრდული გაზეთი!**

E-mail: **nato.gogelia@gmail.com**

**იკითხეთ!!!**

# პოლიციელი, რომელიც გურიაში პირველ მგალობლად მიიჩნეოდა

ანტონ დუმბაძე იყო პოლიციის პორუჩიკი, იყო რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის მონაწილე. ჰყავდა მეუღლე, თავადის ასული ნაკაშიძე და ცხრა შვილი: დავითი, ივანე, ნიკოლოზი, მიხეილი, იოსები, სამსონი, მელიტონი, მართა, ელენე. მისი შვილების სამხედრო გზას დაადგნენ: ივანე დუმბაძე იალტის გენერალ-გუბერნატორი და ნიკოლოზ II-სთან დაახლოებული პირი იყო, ნიკოლოზი (1854-1927) ფეხოსანთა დივიზიის მეთაური, გენერალ-მაიორი, იოსები (1865), გენერალ-მაიორი, არტილერიაში მსახურობდა; სამსონი (1866) და მიხეილი (დ. 1888) აგრეთვე გენერალ-მაიორები იყვნენ, მელიტონი სამოქალაქო სამსახურში იყო, ხოლო დავითი სასულიერო პირი გახდა.




დუმბაძე სრული მგალობელი იყო, რაც მთელი წლის სამგალობლო რეპერტუარის ცოდნას გულისხმობდა. საგალობლებსა და ლოტბარობას დუმბაძე გელათის მონასტერში დაეუფლა. იმერეთის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ გურიის ეპიკოპოს გაბრიელ ტუსკიას გაუგზავნა სამი მგალობელი ძმა ცქვიტიშვილი, რომლებიც აკეთში დასახლდნენ. შემოქმედის ეკლესიის მღვდელმა, გიორგი დუმბაძემ ცქვიტიშვილებთან გალობის სასწავლებლად მიაბარა მისი ნათესავი ანტონი და მისი ნათლული მაქსიმე ჩხატარაშვილი ხუთი წლით. სანაცვლოდ კი ჩხავერის ღვინით უხდიდა გასამრჯელოს. დუმბაძემ ზედმიწევნით იცოდა საგალობლების სამივე ხმა და გურიაში პირველ მგალობლად ითვლებოდა. 1844 წლიდან დანიშნული იყო მთავარ მგალობლად გურიის ეპარქიაში და სხვა მღვდლებსაც ასწავლიდა გალობას. ის არ იცნობდა კლასიკურ სანოტო სისტემას და საგალობლებს იწერდა სპეციალური ნიშნათა სისტემით _ "ნევმებით"

1885 წელს გაიცნო ფილიმონ ქორიძე, რომელსაც ეხმარებოდა 1893 წლიდან გურიაში საგალობლების ნოტებზე გადატანაში.

დუმბაძის მოწაფეთაგან აღსანიშნავია მელქისედეკ ნაკაშიძე, გიორგი მოლარიძე, ნესტორ კონტრიძე, სიმონ შარაშიძე, სვიმონ მოლარიშვილი, ვარლამ სიმონიშვილი. ანტონ დუმბაძის შვილიშვილები იყვნენ სონია დუმბაძე, ემიგრანტი ქართველი საოპერო მომღერალი და ვასილ დუმბაძე, ავანტიურისტი და დიპლომატი.

პენსიაში გასვლის შემდეგ ცხოვრობდა გორში, სადაც გარდაიცვალა 103 წლის ასაკში. გადმოცემის თანახმად, შვილთან, დავით დუმბაძესთან ერთად დაკრძალულია შემოქმედის მონასტერში, მაგრამ საფლავები დაკარგულია.

***ილია თავბერიძე,***
***"XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა"***

# როგორ გახდა პოპულარული ინგლისში ჩოხა-ახალუხი

როცა გურული მოჯირითეები, იგივე "რუსი კაზაკები", როგორც მათ ეძახდნენ, 1892 წელს ლონდონში ჩავიდნენ, იქ ერთი აურზაური ატყდა.

ინგლისელებში ყველაზე დიდი ინტერესი მათმა ხანჯლებმა და განსაკუთრებით კი მასრებმა გამოიწვია _ ისინი მინიატურული დინამიტები ეგონათ.

ე.წ. კაზაკების პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ იმდროინდელ ქალბატონებში პოპულარული გახდა ჩოხა-ახალუხის მსგავსი ტანსაცმელი, რომელიც მათ გურულებისგან ისესხეს.




*ირაკლი მახარაძე "ველური დასავლეთის მხედრები: გურული მოჯირითეები ამერიკასა და ევროპაში" ნახატი იმდროინდელი გაზეთიდან*

# ვინ იყო მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი გამორჩეული სნაიპერი

ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის 43 არმიის 179-ე მსროლელი დივიზიის 259 მსროლელთა პოლკის სნაიპერი,ზემდეგი. საბჭოთა კავშირის გმირი. მეორე მსოფლიო ომის ერთერთი გამორჩეული სნაიპერი ვასილ შალვას ძე კვაჭანტირაძე დაიბადა 1907 წლის იანვარში სოფელ კონჭკათში ღარიბი გლეხის ოჯახში. 1918 წელს მისი მშობლები საცხოვრებლად გადავიდნენ გურიანთაში. გურიანთაში მან მიიღო დაწყებითი ოთხწლიანი განათლება. 1939 წლიდან იყო კომუნისტური პარტიის წევრი.



1941 წლიდან მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. მონაწილეობდა სტალინგრადის, კალინინის, ყირიმის ბრძოლებში. განსაკუთრებით გამოჩინა თავი 1944 წლის ზაფხულში ბელორუსიაში ვიტებსკის ოლქისგათავისუფლებისას. 23-27 ივნისს მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას, სოფელ შუმილინოს მიდამოებში და ვიტებსკის გერმანული დაჯგუფების ლიკვიდაციისას გაანადგურა 44 მოწინააღმდეგე. 1945 წლის 24 მარტის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, ვასილ კვაჭანტირაძეს გამოჩენილი გმირობისთვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ლენინის ორდენის გადაცემით და მედლით "ოქროს ვარსკვლავი"(№6377). სულ კვაჭანტირაძის ანგარიშზე 528 განადგურებული მოწინააღმდეგეა. ასეთ შედეგს მხოლოდ ერთეულებმა მიაღწიეს მეორე მსოფლიო ომის დროს. სხვა ცნობილ სნაიპერთაგან ვასილი ზაიცევს242 მოწინააგმდეგე ჰყავს განადგურებული, ივან კულბერტინოვს 489, ივან სიდორენკოს 500 და ეს ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლებია წითელი არმიის რიგებში.

კვაჭანტირაძე ომის შემდეგ, 1946 წლის იანვრიდან მუშაობდა კოლმეურნეობის თავჯდომარედ მშობლიურ სოფელში, გურიანთაში. გარდაიცვალა 1950 წლის 9 თებერვალს.

დაჯილდოვებულია ლენინის ორი ორდენით, წითელი დროშის ორდენით, სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და სხვა მედლებით.

# ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დღემდე შეუსწავლელი ქართული ხელნაწერი აღმოაჩინეს

***(21-ს ქვევით)*** *_ ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში მუშაობისას აღმოჩნდა დღემდე შეუსწავლელი, არა კატალოგიზირებული ხელნაწერი _ Hs. or. 14561“.* ამ ინფორმაციას ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი გიორგი ქავთარაძე ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ფოტოებთან ერთად ავრცელებს.



მისივე ინფორმაციით, "ხელნაწერი შეიცავს ნუსხა-ხუცურით დაწერილ ბიბლიის ტექსტს. ასევე, ტექსტში ჩართულია ლუკა მახარებლის ერთი ფერადი გამოსახულება".

*_ ბიბლიოთეკარმა, ქალბატონმა ნიკოლე ფიურთინგმა დამრთო ნება, მობილურით გადამეღო პირველი და ბოლო გვერდი.*

*მისი განცხადებით: "ეს ხელნაწერი ბიბლიოთეკამ 2012 წელს შეიძინა კერძო კოლექციონერისაგან ამსტერდამში“.*

*ხელნაწერი, მცირე ზომის გამო, დიგიტალიზაციას არ ექვემდებარება. საჭიროა, კოდიკოლოგმა და ტექსტოლოგმა ადგილზე შეისწავლოს.*

*ამ აღმოჩენით ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას კიდევ ერთი შესანიშნავი ხელნაწერი შეემატა, _* წერს ქავთარაძე.

# როგორ მოიპოვა ლანჩხუთელთა საყვარელმა გუნდმა "გურიის" სახელწოდება

გიორგი მდინარაძე

ქალაქ ლანჩხუთის ისტორიისა და მოსახლეობის იდენტობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საფეხბურთო კლუბი "გურია", რომელიც ორჯერ თამაშობდა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში. კლუბი ჩამოყალიბდა1925 წელს და ერქვა "კიმი".

ის 1924 წელს თბილისის "დინამოს" მაშინდელმა მწვრთნელმა ანდრო ჟორდანიამ ჩამოაყალიბა. მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში გუნდმა შეწყვიტა ასპარეზობა და აღდგა მხოლოდ 1952 წელს "კოლმეურნეს" სახელით. სახელწოდება "გურია" გუნდმა 1960 წელს ოზურგეთის საფეხბურთო კლუბთან ორთაბრძოლაში მოიპოვა. ერთხელ მოიპოვა საქართველოს თასი, ხოლო ორჯერ დაიკავა მეორე ადგილი საქართველოს ჩემპიონატში.

პირველ დიდ წარმატებას 1961 წელს მიაღწია, როცა იგი რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა. ეს მიღწევა გაიმეორა 1966 და 1971 წლებშიც. 1965, 1966 და 1971 წლებში საქართველოს თასიც მოიპოვა, 1973, 1974 და 1977 წლებში ფლობდა შოთა შავგულიძის სახელობის თასს. 1967 წელს "გურიამ" პირველად იასპარეზა საკავშირო არენაზე B ლიგაში.

1970 წელს, B ლიგის დაშლის გამო, "გურიამ" საქართველოს პირველობაზე იასპარეზა, სადაც პირველი ადგილი დაიკავა და მეორე ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. "გურია" მეორე ლიგაში 8 სეზონის განმავლობაში გამოდიოდა. საუკეთესოს შედეგი 1979 წელს ჰქონდა, როდესაც პირველ ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. 1986 წელს გუნდმა პირველ ლიგაში პირველი ადგილი დაიკავა და საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში გადავიდა. 1988 და 1989 წლებში ის ისევ საბჭოთა კავშირის 1 ლიგაში თამაშობდა.

1990 წლიდან "გურია" საქართველოს უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა. "გურია" პირველი გუნდი გახდა, რომელმაც საქართველოს ახლად დაარსებული საფეხბურთო თასი მოიპოვა 1990 წლის სეზონში.

"გურია" სტაბილურად ასპარეზობდა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 1999 წლამდე. ბოლო პერიოდის საუკეთესო სეზონი 2001-2002 წლები იყო, როცა გუნდი უმაღლეს ლიგაში თამაშობდა და საქართველოს თასის გათამაშებაში 1/4 ფინალს მიაღწია.

2013 წლიდან "გურია"უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა.

# ჯუმათის საეპისკოპოსო – ეპარქია გურიის სამთავროში

ლილე კაპანაძე

ჯუმათის საეპისკოპოსო დაარსდა XV საუკუნის 70-იან წლებამდე შემოქმედის ეპარქიასა და ხინოწმინდის საეპისკოპოსოსთან ერთად. მოიცავდა ზემო გურიას, მდინარე რიონსა და სუფსას შორის მდებარე ტერიტორიას. ჯუმათელის რეზიდენცია იყო ჯუმათის მთავარანგელოზის ეკლესია.

პირველი ჯუმათელი მღვდელმთავრების ვინაობა ცნობილი არ არის. პირველი, ვინც წყაროებში გვხვდება არის სიმონ ჩხეიძე (ჩხეტიძე), რომელიც როსტომ გურიელის დროს (1534-1566) იყო ეპისკოპოსი. სიმონი იხსენიება როსტომის, მისი მეუღლე თინათინისა და ძის, გიორგის მიერ გაცემულ სიგელში. ჩხეტიძზების გვარის სასულიერო თანამდებობებზე დაწინაურება იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს უკავშირდება. ჩხეტიძეები მეფის მომხრე ფეოდალებს ეკუთვნოდნენ. XVI საუკუნის დასაწყისში მათ დასავლეთ საქართველოს ხუთ საეპისკოპოსო კათედრა ეჭირათ.

XVII საუკუნის დასაწყისიდან 1639 წლამდე ჯუმათის ეპისკოპოსი იყო მალაქია II, შემდგომში დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და გურიის მთავარი. 1640 წელს ეპისკოპოსი გახდა ნიკოლოზ მანველიშვილი. 1658 წელს შემოქმედისა და ჯუმათის ეპისკოპოსი იყო მალაქია II გურიელი, 1660 წელს ჯუმათის ეპისკოპოსად იხსენიება ვინმე სესიაშვილი. სესიაშვილი მონაწილეობდა ქაიხოსრო I გურიელის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში, რომელიც ვამეყ III დადიანმა მოაწყო. 1676 წლამდე ჯუმათელი ეპისკოპოსი იყო მაქსიმე მაჭუტაძე. 1676 წელს ის აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა ძმასთან, ონოფრე მაჭუტაძესთან ერთად. ისინი თუთა გურიელის ამალაში იყვნენ, რომელიც ლევან ბატონიშვილის ცოლი გახდა. მაქსიმე ბოლნისის ეპისკოპოსი იყო 1688-1701 წლებში და ჯუმათელის ტიტულსაც ინარჩუნებდა. მაგრამ მისი ჯუმათლობა ფიქტიური იყო, ეპარქიას რეალური მღვდელმთავარი ესაჭიროებოდა. ეპისკოპოსად დაინიშნა მაქსიმე II შარვაშიძე, რომელსაც "დიდ ჯუმათელს"უწოდებდნენ. ის ეპისკოპოსი იყო 1677-1685 წლებში. მაქსიმე და გიორგი III გურიელი გორში მყოფ კაპუცინელ მისიონრებს, მკურნალობისა და ქირურგიის მცდონე პატრებს სთოხვდნენ გურიაში ჩასვლას და ჰპირდებოდნენ მათ თეატინელების დანატოვას მამულებს, ეკლესიას, საქონელსა და ერთ სოფელს, სადაც 20 მოსახლე იყო.



შემდეგი ეპისკოპოსი იყო იოანე ბერიძე. XVIII საუკუნის დასაწყისში ჯუმათის ეპისკოპოსი იყო გაბრიელ ჩიქვანი, რომელიც ამავდროულად ჭყონდიდელ-გაენათელიც იყო. ის ჭყონდიდის ეპისკოპოსი იყო 1701-1714 წლებში. სავარაუდოდ ჭყონდიდის კათედრასთან ერთად დაკარგა ჯუმათის კათედრაც. მომდევნო ეპისკოპოსი იყო ერკეთის წინამძღვარი მაქსიმე III შარვაშიძე. ის XVIII საუკუნის 40-50-იან წლებში მოღვაწეობდა. მის შემდეგ მისივე ძმისწული გენათელი ექვთიმე გახდა ეპისკოპოსი. იგი 1736 წელს უკვე იყო ჯუმათელი ეპისკოპოსი და შემდგომ მიიღო გენათელობა. 1767 წელს ის მხოლოდ ჯუმათელ ეპისკოპოსად იხსენიება.

რუსეთ-ოსმალეთის ომმა 1768-74 წლებში გურიაზე ცუდი ზეგავლენა იქონია და გურიის საეპისკოპოსოები რამდენიმე წელი დაქვრივებული იყო. 1777 წელს ჯუმათის ეპისკოპოსად დაინიშნა სიმონ აბაშიძე, რომელიც 1778 წლამდე იყო მღვდელმთავარი. 1780 წლის 1 აგვისტოს ჯუმათის ეპისკოპოსად დაადგინეს ხინოწმინდელყოფილი იოანე. 1788-1794 წლებში ჯუმათის ეპისკოპოსი იყო იოსებ თაყაიშვილი. თაყაივილი ამავე დროს შემოქმედელის ტიტულსაც ატარებდა, რადგან 1788 წლიდან შემოქმედის ეპარქია კი პრაქტიკულად გაუქმებული იყო და გურიაში მხოლოდ ჯუმათის საეპისკოპოსი იყო დარჩენილი. მის შემდეგ ჯუმათელი ეპისკოპოსი იყო მაქსიმე IV ნიჟარაძე, რომელიც 1811 წლის 13 სექტემბრამდე დგა კათედრას სათავეში. ამ დროს საეკლესიო მამულები საერო პირებმა დაისაკუთრეს. ჯუმათის კათედრის აღდგენის შემდეგაც გრძელდებოდა ყმა-მამულის მიტაცება. ამ ნიადაგზე ჯუმათელ მაქსიმე IV-ს კონფლიქტი ჰქონდა დავით გიორგის ძე გურიელთან და ვახტანგ გურიელთან. მათ ძალით წაურთმევიათ საჯუმათლო მამულები, აზნაურნი და გლეხნი. როდესაც მიტაცებული დააბრუნეს, მაქსიმე უკვე გარდაცვლილი იყო. 1811-1827 წლებში ეპისკოპოსი იყო ნიკოლოზ II შერვაშიძე, ერისთავ ქაიხოსრო შერვაშიძის ძე. იყო რუსული ორიენტაციის და დიდი როლი შეასრულა მამია V გურიელის რუსული პოლიტიკისკენ გადახრაში. გურიის სამთავროს რუსეთის მიერ მიერთების შემდეგ მან შეხედულება შეიცვალა და 1827 წელს იყო იმ თავადაზნაურთა სიაში, რომელიც მთავარმმართებელ ერმოლოვს სთხოვდა რუსული ორიენტაციის მქონე გურიის სამმართველო საბჭოს გაუქმებას.[2]

ნიკოლოზ ჯუმათელის გარდაცვალების შემდეგ, 1827 წელს ჯუმათის საეპისკოპოსო გაუქმდა. გურიის ეკლესიები დროებით სამართავად ჩააბარეს შემოქმედის არქიმანდრიტ არსენ მგალობლიშვილს. 1833 წელს ჯუმათის და შემოქმედის ეპარქიები გააუქმეს და იმერეთისას შეუერთეს. მიუხედავად ამისა, ფაქტობრივად გურიის ეკლესიებს მაინც არსენი მართავდა გარდაცვლაებამდე, 1842 წლამდე. 1844 წლის 1 აპრილს გურიაში ახალი საეკლესიო კათედრა — გურიის ეპარქია შემოიღეს, კათედრით ჯუმათში. 1885 წლის 12 ივნისს გურია-სამეგრელოს ეპარქია გაერთიანდა.

1844 წელს დაარსდა გურიის ეპარქია. გურიის ეპისკოპოსიც ჯუმათში იმყოფებოდა. 1885 წელს გურიის ეპარქია სამეგრელოს ეპარქიას შეუერთეს. 1963 წელს აღდგა შემოქმედის ეპარქია, რომელიც ჯუმათის ეპარქიის ტერიტორიასაც მოიცავდა.

***გამოყენებულია ვიკიპედიას მასალები***

# ბერიას ბრძანებით დახვრეტილი მასწავლებელი, რომელმაც სურებში პირველი სასწავლებელი გახსნა

ნათია დოლიძე

ჩოხატაურის სოფელ სურები ბევრ სახელოვან ადამიანთან ასოცირდება.

სურებში დაიბადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრი ნოე რამიშვილი და სურებში დაიბადა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ისიდორე რამიშვილი, რომელმაც 1890-იან წლებში სოფელში ორკლასიანი სასწავლებელი გახსნა.

ისიდორე რამიშვილი. 1859 წლის 7 ივნისის დაიბადა სურებში გლეხის ოჯახში დაიბადა. 1871 წელს ჩაირიცხა ოზურგეთის ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში, დაუახლოვდა რევოლუცინერ სილიბისტრო ჯიბლაძესა და მომავალ მემარცხენე ბელეტრისტ ეგნატე ნინოშვილს. 1878-85 წლებში ჯიბლაძესთნ ერთად სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში. გახდა მემარცხენე ხალხოსნური იდეების მიმდევარი. გოლა ჩიტაძესთან ერთად, მონაწილეობას იღებდა "ქარგალთა კავშირის" მეცადინეობებსა და სემინარიის შიგნით წარმოებულ რევოლუციურ საქმიანობაში. მან დააფინანსა თავდასხმა სემინარიის რექტორ ჩუდეცკიზე, რომელიც სასწავლებლიდან გარიცხულმა მოსწავლემ, იოსებ ლაღიაშვილმა ხანჯლით მოკლა.

1886 წელს გახდა სოფლის მასწავლებელი წინამძღვრიანთკარის კერძო სკოლაში. ოც წელიწადზე მეტ ხნის განმავლობაში იყო მასწავლებელი იმპერიის სხვადასხვა დასახლებაში. 1887-93 წლებში ასწავლიდა მის მიერვე დაარსებულ და აშენებულ სურების სკოლაში. თაოსნობდა გურიის სახალხო ბიბლიოთეკის გახსნას.

1892 წლის 25 დეკემბერს ისიდორე რამიშვილი დაესწრო ქართველ მესამე დასელთა პირველ კონფერენციას ყვირილაში. 1897-1903 წლებში ასწავლიდა ბათუმის სკოლაში. ამავდროულად იყო ადგილობრივი მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ბათუმის ბაზრის ცენტრში გახსნა ბიბლიოთეკა. საგანმანათლებლო რევოლუციური წრეების ორგანიზატორი. 1901 წელს მეთაურობდა ბათუმის როტშილდის ქარხნის მასობრივ გაფიცვას. 1903 წელს გადაასახლეს ჯერ კავკავში, შემდეგ პეტროვსკში. 1905 წლის რევოლუციიის დროს იყო თბილისში სომეხ-თათართა შეტაკების საწინააღმდეგო კამპანიის ლიდერი.

1906 წელს მონაწილეობდა რსდმპ სტოკჰოლმის ყრილობაზე. იყო რუსეთის პირველი მოწვევის დუმის დეპუტატი, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი და პირველი ქართველი დეპუტატი, რომელიც დუმის ტრიბუნაზე სიტყვით გამოვიდა. 1907-08 წლებში იყო რსდმპ-ს ლონდონის ყრილობის დელეგატი ბაქოდან. ხელმძღვანელობდა ბაქოს მენშევიკური ჯგუფს. 1909-14 წლებში გადასახლებული იყოასტრახანის გუბერნიაში, ხოლო 1914-17 წლებში _ სამარაში.



1917 თებერვლის რევოლუციის შემდეგ იყო პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრი. 1917-18 წლებში იყო აზერბაიჯანის შრომის მინისტრი. 1918-19 წლებში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. 1918 წლის აპრილში გენერალ მაზნიაშვილს ეხმარებოდა გურიაში შეჭრილი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში, შემდეგ კი იყო საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი აფხაზეთში.

1922 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ნაძალადევის კლუბში გამართულ მიტინგზე გამოვიდა ანტისტალინისტური სიტყვით, რის გამოც დაიჭირეს და 15 წელი გაატარა გადასახლებაში მოსკოვის გუბერნიაში, ასტრახანში, ბაქოში, ტაშკენტში, ხოდჟენტში, ვლადიკავკაზში. 1937 წელს ბერიას ბრძანებით დახვრიტეს თბილისში.

*რეკლამის ფასები: პირველი გვერდი – 700 ლარი; ბოლო გვერდი – 350 ლარი;*
*მეორე გვერდი – 200 ლარი; მესამე გვერდი – 300 ლარი.*
*პოლიტიკური რეკლამის ფასი ორმაგია.*
*რეკლამის შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე: (555) 714-011.*
*გურიის ახალგაზრდული გაზეთის მისამართია:* ჩოხატაური, ნოდარ დუმბაძის ქუჩა №25.
373 636 (551) ☎ * ლანჩხუთი, ნოე ჟორდანიას ქ. №128, I სართ. 903- 987 (571) ☎
*ოზურგეთი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №4, 404-182(599) ☎
E-mail: nato.gogelia@facebook.com
რედაქტორი: ნატო გოგელია